საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გამოდის დილას: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ეღირება 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ასე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიათა მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილობა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნილ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კონტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პრეოსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 40 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 40

თებერვლის 18 ს ქ. ფოთში ხასმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პავლე დავითის ძე გოგოლაშვილი

რასაც უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს გარდაცვალებულის მეუღლე ნინო, მამა დავითი, დედა მაკრინე, შვილები: დათიკო, გენია და გივი გოგოლაშვილები, დები: პაპასი შუბაშვილისა და მარიამ ზედგენიძისა და სიდედრი სარა ჯაფუაიისი. ცხედარი გამოსვენებული იქნება ფოთიდან (ივანოვის ქ. საკუთარი სახლი) რკინის გზის სადგურზე, პარასკევს, 21 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათ. დაკრძალვა მოხდება ს. ძევრში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სამშაბათს, 18 თებერვალს, ქ. თფილისში რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა

სტუდენტი ფალვა დავითის ძე პიზირია

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, ღრმად დამწუხრებულნი დედა ტასო, მამა დავითი და ძმა მიცვალებულისა ვიქტორი. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კუკიის წმ. ნინოს უბნის სამოქალაქო ბიუროს წევრები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ამა თვის 17-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე ბიუროს წევრი

დიმიტრი მიხეილის ძე სარდაფონიძე

გამოსვენება მოხდება საკუთარის სახლიდან, ანტონოვის ქუჩა № 35. წმ. ნინოს სასაფლაოზე დილის ათს საათზე ღდეს.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარია, დედა ეკატერინე, ძმები: ვასილი მეუღლით და ივანე, დები: ანასტასია პაპინაშვილისა და მარია შარაბიძისა, სიძეები: იოსები და ალექსანდრე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 18 თებერვალს გარდაიცვალა მათი ძვირფასი მთავარ სახელოსნოს მოშუშავე

გიორგი მოსეს ძე პაპანაძე

დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 20 თებერვალს, 2 საათზე, ერთობის უბნიდან (სამოვოლნის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მეუღლე ნინო ივანეს ასული, შვილი ზაქარია ლევანის ძე და შვილიშვილები: ელო და ნინო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. სურამში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ლევან ვასილის ძე ხიდირგეგეშვილი

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 20 თებერვალს ქ. სურამში კვირაცხოვლის საგვარეულო სასაფლაოზე, ცხედრის გამოსვენება დილის 10 ს.

უნუგეშოდ მყოფი და მწუხარებით გულდასწყვარი დედა კატო, ძმები: სევერიანე, ოტია, გალაქტიონ, გიორგი და კოლა. მამიდა ფოტინე. საცოლო ანეტა სამსონის ასული, რძალი თამარა, დები: მინიკო გობრონიძე და ნიტუშა თავართქილაძისა, სიძე თეოდორე გობრონიძე, ძმის შვილი ქეთო და დისშვილი ლენა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, ს. ნატანებიდან ქ. ბათუმში მოხდება გამოსვენება

აკაკი ტარიელის ძის თავართქილაძისა

ეუმაკი და თაგუნა

„ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი“

გამოვიდა რვეული II.

საწყობი „ერთობის“ კანტორაში.

ჩვენი მდგომარეობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წყობილების მტრები ხმა და ხმა შეუერთდა ჩვენი მდგომარეობის შეცვლაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ცრუ ხმებში ეხება ინგლისის და მისი მოკავშირე სახელმწიფოების დამოკიდებულებას ჩვენს რესპუბლიკასთან: სიტყვით თუ პრესის საშვალებით ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი, ვითომ ინგლისის მიზანი იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. კონკრეტულათ აღნიშნავენ, ვითომ ინგლისი ხელს უწყობდეს ოსმალეთის აგენტებს, რომელიც ახალციხის მაზრაში მოქმედებენ საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენი მტრების მიერ გავრცელებული ცრუ ხმები მიზანს აღწევენ: ბევრი მოქალაქე და ზოგან პასუხის მგებელი პირებიც ერთგვარმა შიშმა შეიპყრო და მათი ენერგია და შრომის ხალისი მოადუნა. ამ ცრუ ხმების გავლენით აიხსნება, სხვათა შორის, ის მარცხი, რომელიც ჩვენი ჯარის ზოგიერთ ნაწილებს მოუვიდა ახალციხის მაზრაში.

ამიტომ საჭიროა გაიფანტოს ეს მავნე ბურუსი და შეშინებულმა მოქალაქემ იცოდეს საქმის ნამდვილი ვითარება.

თავისთავად ცხადია, შორეულ მომავლის გამოცნობა დღესვე შეუძლებელია. საერთოდ წვრილი ერების და სახელმწიფოების ბედი დიდათ არის შეკავშირებული საერთაშორისო მდგომარეობასთან. ბურჟუაზიული სახელმწიფოები თავის საკუთარ საქმეებს აგვარებენ და ამ მოგვარების დროს მოუულოდნელათ ანასკვება ხოლმე ახალი ხლართები-დგება ახალ-ახალი კომბინაციები: შესაძლოა ორი მეგობარი სახელმწიფო ერთმანეთს გადაეკიდოს და ამ გვარათ ერთხელ დასასრული მოქმედების გეგმა ჩაიშალოს და ახალი კომბინაცია მოეწყვეს, და როგორც აქლემების ჩხუბში ისრესება ხოლმე ხშირათ კოზაკი, ისე ამ დიდ ფალავნების ჭიდაობის დროს შეიძლება დაზიანდეს ესა თუ ის პატარა ერი ან სახელმწიფო.

თუმცა აბსოლუტური გარანტია არ არსებობს, მაგრამ ჩვენი პატარა რესპუბლიკა შედარებით უზრუნველყოფილია მოუულოდნელ ხიფათისაგან, რადგან მისმა ხელმძღვანელებმა თავიდანვე უკუაგდეს ყოველგვარი ავანტიურა და არც ერთს მებრძოლ კოალიციას არ მიმხრობიან მეორე კოალიციის წინააღმდეგ. ჩვენი დემოკრატიული მთავრობა ცდილობს სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცოს და ყველა სახელმწიფოსთან, დიდია ის თუ პატარა, კეთილ-მეზობლური განწყობილება დაიჭიროს.

ამ გონივრულ პოლიტიკის ნაყოფია ის, რომ ჩვენ დღემდის შევინარჩუნეთ, როგორც დამოუკიდებლობა და წესრიგი, ისე დიდ რევოლიუციის მთავარნი და მნიშვნელოვანი მონაპოვარნი.

რა მოგველის ჩვენ ახლო მომავალში? არსებობს თუ არა ისეთი გარეშე ძალა, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი რესპუბლიკის და დემოკრატიული წყობილების მოსპობით? შეიძლება თუ არა ასეთ გარეშე ძალათ ვიგულისხმოთ რუსეთი ან ინგლისი?

დემოკრატიული რუსეთის ჩვენ არ გვეშინიან, ხოლო, რაც შეეხება დღევანდელ რუსეთს, იქ გაბატონებული ორი ძალა, ბალშევიკური და რეაქციონური მოხალისეთა ჯარის სახით, ერთმანეთს ებრძვის და ასუსტებს. მოხალისეები ჩვენთვის დღევანდელ რეალურ პირობებში საშიშ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ არა ისეთს, რომლის დაძლევა ჩვენ ვერ შევიძლოთ, თუ, რასაკვირველია, საქართველოს ყველა სასიცოცხლო ძალები შეკავშირდება და საერთო ძალით შეუდგება მის მოგერიებას. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ მოხალისეები ეკურდნობიან ინგლისს, რომელიც მათი შეშწეობით ცდილობს ბალშევიკური ანარქიის მოსპობას.

მაშასადამე საკითხის მთელი სიმძიმე იმაშია, აქვს თუ არა ინგლისს ისეთი ინტერესები, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დასუტებას მოითხოვდეს. ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისს ასეთი ინტერესები არ აქვს. ამიერ-კავკასია, კერძოთ საქართველო, მდიდარი კუთხეა და ამავე დროს მთავარი გზაა აღმოსავლეთში ვაჭრობის გასაჩაღებლათ და ეკონომიურ გავლენის გასაფართოებლათ. ინგლისის ეკონომიური ინტერესი კი სავსებით იქნება დაცული, უკეთუ აქ იარსებებს სახელმწიფო შესაფერათ მოწყობილ აპარატით. ჩვენი რესპუბლიკა კი ნამდვილი სახელმწიფოა, რომელშიაც დღევანდელ ომის მიერ შექმნილ ურთიერთობის მიხედვით საუცხოოთაა დაცული წესრიგი და ნორმალური მოქალაქეობრივი ურთიერთობა. ასეთ წყობილებას და მის მატარებელ საქართველოს რესპუბლიკას ინგლისი არ შეებრძოლება, რადგან მის ინტერესებს არ შეადგენს ცხოვრების არევ დარევა და ჩვენს ქვეყანაში ანარქიის გაბატონება.

ამ ჩვენი მოსაზრების სისწორე ცხადჰყო 18 თებერვალს გამართულ პარლამენტის საგანგებო სხდომაზე. მთავრობის თავმჯდომარის მიერ გამოქვეყნებულმა მოხსენებამ. ამ მოხსენებიდან მკითხველი გაიგებს, რომ მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მტრები ავრცელებენ ხმებს, ითქოს ინგლისი ჩვენი მოწინააღმდეგე იყოს.

საჭირო არ ყოველი მოქალაქე, განსაკუთრებით, ყველა პასუხისმგებელი პირები და ორგანიზაციები გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ ჩვენს რესპუბლიკას არავითარი საფრთხე არ მოელის ინგლისისაგან და ენერგიული ალერშენებლობითი მუშაობა აწარმოვონ.

პრესა

„მშაკი“ (№ 39) „ეროვნული უმცირესობის გა აჯანყებას“ ეხება.

„შეიძლება, რომ ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკა ისე შეიქნას, იმისთანა წესწყობილება დამყარდეს მათში, რომ ეროვნულ უმცირესობის კულტურული მოთხოვნილება დაუპროკლებლივ გაფართოვდეს და უზრუნველყოფილ იქნენ, მაგრამ შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა არ მოისურვონ უცხო ქვეყნაში კარგი ცხოვრება და საკუთარ სამშობლოში არჩონ ცუდი. ეროვნული სხეული ვერ შეურიგდება, რომ მისი ერთი ნაწილი გამოგლეჯილი იყოს მისი ხერხემალიდან, ამიტომ საკვირველი არ არის, თუ რომელიმე ეროვნული უმცირესობა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკებისა, მიუზედავათ იმისა, რომ რესპუბლიკები ყველაფერით ზრუნავენ მათზე, მოინდომებენ გადასახლებას თავიანთი ბუნებრივი ხერხემალის გარშემო. ეს ადვილი ასახსნელი იქნება სომხეთის და ადერბეიჯანისთვის. ვიცით, როგორ ეჭცევა თათარი ქრისტიანს. სომეხი ვერ ლაივწყებს თავის წარსულ ისტორიას. და ასე ამ ორ ერს შორის შეტაკებას მოლო არ მოეღება.

„როცა მდგომარეობა ასეა და ხალხებმა არ უნდა დახარჯონ თავიანთი ენერგია ურთიერთ შორის ბრძოლაზე, რჩება ერთი გამოსავალი გზა—მათ უნდა ეცადონ შექმნან შეტაკების ყველაზე უმცირესი საბაბი. ამისთვის უყურადღებოთ არ უნდა იქნას დატოვებული ერთი საშუალება,—ეგ საშუალებაა—ეროვნული უმცირესობის გადაჯგუფება, ანუ გადასახლება.

„მაგ. სომეხთა უმცირესობა ადერბეიჯანის შექის და შარფანის ოლქებში (ნუხის, არეშის, გოქჩაის და შემახის მაზრები) ვერ სძლებს თათრების ზღვაში. 1918 წელს ეს ხალხი პირდაპირ გოლგოთაზე ავიდა ადერბეიჯანის თათრების ველურობისაგან, წარმოუდგენელ დევნისა და მკვლელობისაგან. რისთვის უნდა აინთოს ახალი ცეცხლი? უკეთესი არ იქნება თუ იგი თავის შემოქმედებითი შრომას დაიწყებს, მაგალითად ნახიჩევანის ან შარუხის მაზრაში?

„ჩვენის აზრით სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკები მოიგებენ თუ დაიწყებენ ეროვნულ გადაჯგუფებას ნუხის, არეშის, გოქჩის და შემახის მაზრებიდან, კლიმატური პირობები ამ ადგილებში ერთნაირია.

„რასაკვირველია, გადასასახლებელი ხალხები ერთგვარი ნივთიერი სიმდიდრის პატრონები არ არიან. სომხებს აქვთ კარგი შენობები და ბაღები. თათრები კი ვერ არიან ისე მოწყობილნი, ვერ შეუქმნიათ იმდენი სიმდიდრე, რამდენიც სომხებს აქვთ, მაგრამ, როცა ისპობა ეროვნული შეტაკების მიზეზი, ეს იმისთანა სასიკეთო საქმეა, რომ მისი ცხოვრებაში გატარება არ უნდა დაბრკოლდეს ქონებრივი ანგარიშებით. ეკონომიური ზარალის ანაზღაურება შეიძლება, მაგრამ ძნელია დარღვეული კეთილმეზობლური განწყობილების გამრთელება. ამიტომ არ უნდა დავდგეთ ეკონომიური ხარჯების წინ და უნდა შევინიშნოთ „ერებს მოკრეფის“ ზომა. აქ მცირედი ხარჯი დიდ სარგებლობას მოგვიტანს“.

„ეროვნულ უმცირესობათა“ საკითხი—ეს დიდი და სერიოზული საკითხია. მას დიდი ხნის ისტორია აქვს. არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა და თქმულა მის შესახებ, მაგრამ ის აზრი, რომელსაც „მშაკი“ იცავს, არსებულ გაგვიგია. რა თქმა უნდა, ვინც არ მოისურვებს ამა თუ იმ ტერიტორიალურ ფარგალში დარჩენას, შეუძლია გადასახლდეს თავის დედა-ერის საზღვრებში, მაგრამ საერთო სახელმძღვანელოთ ასეთი ზომა მიუღებელია. ხალხთა თუ მის ნაწილთა გადასახლება არ ხდება რასიული მიზეზით. თუ კი უმცირესობათა უფლებები დაცულ — უზრუნველყოფილია,—მაშინ გადასახლება, როგორც საშუალება უმცირესობათა ინტერესების დასაცავათ, სრულიად უმიზნოა. და თუ არ არის უზრუნველყოფილი,—მაშინ ამ მხრით უნდა იყოს მთელი ყურადღება მიქცეული.

„ერების მოკრეფა“ საკუთარ საზღვრებში ვერც იმ საშიშროებიდან იხსნის „მშაკს“, რომლის აშორებას ის ფიქრობს, რადგან ნაციონალური, უკეთ, ნაციონალისტური ბრძოლის მამოძრავებელია არა მოდგმა, არამედ—ეკონომიური პირობები. მართალია, ერთი ერი, ერთი ტერიტორია—ეს საუკეთესო საშუალებაა ეროვნული შეღლის გასანელებლათ, მაგრამ არ არსებობს არსად ისეთი ერთი ტერიტორია, რომელსაც ფარავდეს ერთი ერი. ყველგან არის უმცირესობა. ამიერ-კავკასიაში ასეთი გადაჯგუფება პირდაპირ შეუძლებელია, რადგან ამისთვის საჭირო იქნება არა სამი რესპუბლიკა, არამედ—ათეული.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვა უფლებრივათ უნდა მოხდეს ძირითად კანონების საშუალებით. ეროვნული შეღლის განეულება-აცილება კი,—ყველა ეროვნებათა დემოკრატიის გაერთიანებით, მათ შორის მჭიდრო კავშირით და ასე, მისი დაპირდაპირებით, როგორც თავის ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ნაციონალისტების წინააღმდეგ. და რამდენათ „მშაკის“ „სოციალისტები“ ამ მხრით ეცდებიან და იმუშავებენ, იმდენათ ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ, როგორც თავის ერს, ისე საერთოდ მთელ დემოკრატიას. „ეროვნულ უმცირესობათა მოკრეფა“ და მათი საკუთარ საზღვრებში ჩაყენება, ეს არის ნაციონალისტების საქმე და ეს საპატიო მისიაც მასვე უნდა დაუთმოთ...

პარლამენტის დღიური

VI.

არ მეგონა თუ კიდევ მომიხდებოდა დღიურის წერა. არ მეგონა თუ კიდევ მოხდებოდა ისეთი რამ, რომელიც გამოიწვევდა დათხოვილი პარლამენტის ისევ მოწვევას. მაღე ხომ დამფუძნებელი კრება უნდა გაიხსნას.

დამფუძნებელი კრება! რამდენი მსხვერპლი შეუწირავს ამ იდეიას; რამდენი მებრძოლი დადუპულა ამ იდეიის განხორციელებისათვის; რამდენი აღზნებული სიყვარული დაფერფლილა მის მოლოდინში...

ჩვენში ეს ოცნება სინამდვილეთ იქცა; სადაცაა ხალხის უზენაესი უფლება ფეხს აიდგამს და თავის სამეფო ტახტზე დაბრძანდება. მას უკვე გადასცა ჩვენმა ხალხმა მწვანე კონვერტებით თავის ჭირი და ლხინი, სიხარული-მწუხარება, სიყვარული-სიძულვილი, იმედი და ზრახვანი.

მის მოსვლა-მობრძანებას ასე ელის და შესტრფის ჩვენი ქვეყანა...

მაგრამ დახეთ მუხთალ ბედს! მას შეშურდა ჩვენი ქვეყნის სიკეთე. სამხრეთ-ჩრდილოეთით დაიძრა შავი ღრუბელი, ცას ტყვიის ფერი აფარა და სისხლის წვიმის მუქარით ჩვენს სიხარულს მწუხარის მანდილი აფინა...

ამ მძიმე და სახიფათო მომენტმა აიძულა პრეზიდიუმი მოეწვია პარლამენტის საგანგებო სხდომა.

სხდომა გაიხსნა ქალაქის საბჭოს დარბაზში. პირველი სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ნ. ყორდანიას. მის ტრიბუნაზე გამოჩენას დეპუტატები ტაშით ხვდებიან. ის, ჩვეულებრივათ აფოლადებს თვითეულ სიტყვას, წინადადებას. ამბობს, რის თქმაც შეიძლება და რაც აუცილებელია იცოდეს რუსპუბლიკის მოქალაქემ. ის აცნობს პარლამენტს პოლიტიკურ მდგომარეობას; ამტკიცებს, თუ როგორ ერთ და იმავე დროს დაიძრა ერთ მხრიდან დენიკინი, ხოლო მეორედან ოსმალთა ბეგები. ბეგების მიზანია შეუერთდენ ოსმალებს და ასე თავის ბატონობა შეინარჩუნონ. ახალციხის ამბები მოწყობილია არა შინაური ძალებით, არამედ გარედან შემოსული პირების მიერ. ესენია ოსმალთა ფაშების აგენტები, ახალციხის ბეგებმა იციან, რომ მაღე იმ მაზრაში დამყარდება ჩვენი დემოკრატიული წესები და რომ არ აჩვენონ ხალხს ამ წყობილების უპირატესობა—იჩქარიან ისარგებლონ შემთხვევით და აჯანყების მოწყობით დროებით კიდევ იპარაბაშონ.

არც დენიკინის თავდასხმას ველოდით, რადგან სოჩის ოლქის გვეპირა დროებით და ჩვენი ჯარის ნაწილი იდგა იქ ინგლისელების თანხმობით. ჩვენ არ შეგვეძლო გვეცნა ამ ოლქში დენიკინის მესაზღვრეობა, რადგან ეს იქნებოდა მუდმივი შფოთი, უსიამოვნება და არევ-დარევა. მოკავშირენი ენდვენ დენიკინს; ალბათ მათ არ იცოდენ, რომ ეს ის ხალხია, რომლის არც ერთი სიტყვა სანდო არ არის.

მთავრობას აინტერესებდა გამოერკვია ინგლისელების დამოკიდებულება მომხდარ ამბებთან და აი, ჩვენ საბუთი გვაქვს გავაცხადოთ, რომ ისინი ჩვენთან მეგობრულ განწყობილებაშია და ჩვენს წინააღმდეგ ჩვენს მტრებს დახმარებას არ გაუწევენ. სოჩის ოლქში მათი შუამავლობით ამ ჟამად სწარმოებს მოლაპარაკება. რაც შეეხება ახალციხის მაზრას—ეს ჩვენი შინაური საქმეა და მთავრობა დარწმუნებულია, თუ ხალხი მასთან იქნება, ჩვენი ქვეყანა ახლაც გამარჯვებული დარჩება და მტრები ღირსეულ პასუხს მიიღებენ.

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა პარლამენტმა და დასწრე საზოგადოებამ სულგანაბული მოისმინა და მისი მხურვალე მოწოდება რეაქციის წინააღმდეგ მქუხარე ტაშით დადასტურა.

პარლამენტის ატმოსფერა, დეპუტატების სულიერი განწყობილება ნათლათ მოწმობს მომენტის სიმძიმე-სიდიადეს. რთული და მძიმეა ჩვენი მდგომარეობა, მარა ჩვენი დემოკრატია არა ერთხელ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში, მარა გადარჩენილა. არა ერთხელ ყოფილა შემოჭალტული მტრისაგან, მარა თავი უხსნია. რიცხვით მცირეა ჩვენი დემოკრატია, მარა ძლიერია შეგნებით, მტკიცე და ურყევი თავ-განწირვით და ყოველივე ეს ის კლდეა, რომელზედაც შენდება წმინდა ტაძარი და ჩვენ გვჯერა, რომ ამ ტაძარში ვერ შეიოიზედავს ვერც მეფის გენერალი და ვერც ოსმალთა ბეგები.

თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. ჩაწერილია მრავალი ორატორი.

ამაზე ხვალ. განი.

საქართველოს პარლამენტი

18 თებერვლის ხსდომა.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

თავმჯდომარე თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია პარლამენტის მოწვევა. იმედს გამოსთქვამს, რომ ამ სერიოზულ მომენტში პარლამენტი გამოიჩენს ერთსულოვნებას, იგი ერთი მიზნით განისმენდება — გასწმინდოს საქართველოს რესპუბლიკა, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრისაგან და ისე ჩაამაროს ჩვენი რესპუბლიკა დამფუძნებელ კრებას.

სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარეს.

ნ. ყორდანია. მოქალაქენო! ორი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც მოხდა რუსეთის დიდი რევოლიუცია და ამ ხანს განმავლობაში ჩვენმა პატარა ქვეყანამ განიცადა მრავალ ნაირი ცვლილებანი. ჩვენი ხალხი ამ დიდ რევოლიუციის ტალღებს ეპყრობა ხან მაღლა, ხან კი უფსკრულის პირას აყენებდა. საბედნიეროთ ხალხში მოიძებნა ისეთი ელემენტები, რომლებმაც თავიდანვე აიღეს სწორი ხაზი და შეეცადნენ ხალხიც ამ ხაზზე შემდგარიყო და ... ვფიქრობ, რომ მიზანი შესრულებულ იქნა. დღეს ამ ორი წლის ბოლოს შეგვიძლია ვსთქვათ ლანამდვილებით, რომ საქართველოს ხალხი მიადგა იმ ხაზის, სადაც იწყება ნორმალური განვითარება ერისა. ჩვენ დღეს ფაქტიურად უკვე ჩამოყალიბებული ვართ სოც. დემ. კალაპოტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ

ფოთში 16 თებერვალს დაკავებულ იქნა მოხალისეთა ჯარის მეორე გემი. გემზე მყოფ მხედრებს იარაღი ამოიღეს, ხურსათს კონფისკაცია უყვეს.

—

გამოქვეყნდა ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაადგინეს, რათა იმ ერებმა, რომელთაც საზავო კონფერენციაზე შეაქვთ გადასაწყვეტათ ტერიტორიალური საკითხი, კონფერენციის გადაწყვეტილებამდე არ დაიპირონ ტერიტორია, რომლის დ ჰერაც მათ სურთ.

ხაბერძნეთის საკითხი დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა კომისიას გადასცეს.

გერმანიაში რეინ ვესტფალიის ოლქში მუშებსა და მთავრობის ჯარს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების საოლქო კონფერენცია ესენში მოითხოვს საბჭოების აღდგენას.

დონის ოლქში აუზათა ჯარის ზოგიერთი ნაწილები საბჭოთა ჯარების მხარეზე გადადიან.

საჭიროა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმაში ჩამოსხმა, რასაც ჩაიდინს დამფუძნებელი კრება. ცხოვრება იწყობა რევოლუციის მიერ მოპოვებულ ნიადაგზე და ეს ნიადაგი არის შეურყეველი და მას ვერ დაამხობს ვერც შინაური მტერი და ვერც გარეშე ძალა. მაგრამ, თუ ასეა შეაგულ საქართველოში, მის განაპირა კუთხეებში სხვა სურათს ვხედავთ. განაპირა ქვეყნებში მოსახლეობენ ქართველნი და არა ქართველნიც და იქ ჩვენ ვხედავთ, რომ ისე ადვილათ ვერ იწყობა ცხოვრება ახალ ნიადაგზე, როგორც ეს ხდება შეაგულ საქართველოში. ბევრნი გვიუბნებიან, რათ იბდაუებით სოხუმს, გაგრას, ახალციხეს, თუ თქვენ არ ხართ იმპერიალისტებიო. ვინც ამას გვიუბნებიან სწორედ ისინი ფიქრობენ ეს ქვეყანა იმპერიალისტურ ქვეყნათ გადააქციონ და დაგვასუსტონ ჩვენ. ამის მაგალითი გვაქვს ჩვენ დღეს. ერთი მხრით დენიკინის შავი რეაქცია და მეორეს მხრით ოსმალთა ფაშები და ემისრები. მათუმს, გაგრა, ახალციხე შეგვაჩნია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სტრატეგიულ კალაპოტათ, მხოლოდ ჩვენი აშკარა მტერი იტყვის ამ კუთხეებს გამოეთხოვეთო, რაც ნიშნავს იმას, რომ ურდოებს კარები ღია ეჭნებათ შემოიჭრან საქართველოს რესპუბლიკაში და სამუდამოთ დაასამარონ იგი. ჩვენ განაპირა ქვეყნებს კი არ ვიპყრობთ, არამედ ჩვენ გვინდა დავეხმაროთ მათ მიიღონ იდეა დემოკრატიზმისა. ჩვენ გვსურს იქ იქნას შემოღებული ისეთი წყობილება, რომელიც მათ დაკმაყოფილებს, ჩვენ ვეუბნებოდით ქართველ მაჰმადიანებს, რომ ჩვენი ინტერესები არ მოითხოვენ მათი ძალით შემოერთებას, არამედ ისინი ნებით უნდა შემოგვიერთდენ. ეს შემოერთება კი ერთ რამეზე უნდა იყოს აგებული. ისინი უნდა აღიარებდენ იდეას დემოკრატიისას და საქართველოს სახელმწიფოს. ჩვენი და მათი ერთად დგომა ორივე მხარეს გააძლიერებს, ცალკ-ცალკე დგომა ორივეს დაღუპავს. ეს კუთხეები არ გვაინან თავიანთ ზნე ჩვეულებით და კულტურით ერთი მეორეს. და ეს იყო მიზეზი, რომ ავტონომია მიეცათ მათ. ესე იგი შინაური ცხოვრება თითონ უნდა მოაწყონ. ცხადია, რომ ჩვენ მათი ძალით დამორჩილება არ გვინდა. ჩვენ მზათ ვართ მივანიჭოთ მათ ფართო ავტონომია, მხოლოდ ერთ რამეს ვერ მიეცემენ—რომ ისინი მოგვწყდენ და შეუერთდენ დენიკინის მოხალისეებს ანდა ოსმალეთის ემისრებს. ჩვენი ქვეყნის მტერი ჩქარობენ, რომ, სანამ ამ კუთხეების მოწყობა დამთავრდებოდეს, მიიღონ ზომები ეხლავე ჩამოგვაშორონ ეს განაპირა კუთხეები და არ მოგვცენ საშუალება პრაქტიკულად ვაჩვენოთ ის, თუ რა წყობილება გვსურს დავამყაროდ იქ. ამით ეიხსნება, რომ ერთ და იმავე დროს, მოხდა ორივე მხრიდან შემოტევა შავი ზღვის ნაპირებიდან დენიკინის მოხალისეების და ახალციხიდან ოსმალთა ემისრების. ამ ჟამად ჩვენი მთავრობის მიზანია რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ამ ფრონტების ლიკვიდაცია. თანახმად მთავრობის დადგენილებისა სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვეჭირა, ეს ყველამ იცოდა და თუ მათ დაიწყეს შემოტევა, აქ სხვა მიზანი იყო. ჩვენ თავიდანვე გვსურდა იმ მხრით ისეთი მეზობლები გვყოლოდა, რომელნიც ყოველ ჟამს არ დაეიმუქრებოდენ ჩვენ ქვეყანას. ჩვენ ვფიქრობდით ეს ოლქი გადაგვეცა ყუბანის მთავრობისათვის, რომლის წყობილებაც ჩვენსას ცოტათი წააგავს, ყუბანის მთავრობას უნდა დაეკავებინა სოჩის ოლქი, დენიკინთან კი ჩვენ მეზობლობა არ გვსურდა, რადგანაც ეს ჩვენ ყოველთვის საფრთხეში ჩაგვაგდებდა. მიუხედავათ ამისა ჩვენ დავიწყეთ დაცლა სოჭის ოლქისა. ამავე დროს ინგლისმა გვაცნობა წერილობით, რომ სოჭის ოლქში ჩვენ არავითარი საფრთხე არ მოგველის და შეგვიძლია იქ დარჩენა. მოკავშირეების განცხადება გვიმტკიცებდა მას, რომ დიდი ბრიტანეთი ჩვენ ზხარეზე არის და ამას ჩვენ დიდი ფასი მივეცით. მიუხედავად ამისა, დენიკინი თავს დაგვეცა. ამ გარემოებამ ხალხი აალაპარაკა. ერთგვარი საყვედური გაისმა, იქვე შეიტანეს მოკავშირეთა განცხადებაში და მოგვთხოვეს გარკვეული პასუხი მიგვეცა ხალხისთის. ეხლაც შემიძლიან ვთქვა ის, რასაც ვამბობდი ამ რამდენიმე დღის წინათ სახალხო ნახალში. მე ვამბობ, რომ შემოტევა დენიკინისა მოულოდნელი იყო მოკავშირეთათვის ისე, როგორც ჩვენთვის. აქ მოხდა ის, რომ დენიკინმა ვერ გაიგო მოკავშირეთა იმედები და ალბერ თუ გვიან ლაანახვეს დენიკინებმა თავიანთი შავი გული. ზოგიერთს ჰგონია, რომ დენიკინ მიეცემოდა სიტყვას არ გასტეხო. ვინაც ეს ჰგონია, მას წარმოდგენა არ ჰქონია იმისი, რომ ისინი სიტყვის ხალხი არ არიან, ისინი უეცველად მოკავშირეთ ეტყოდენ, რომ არ გადავდგამთ არავითარ მოულოდნელ ნაბიჯს, მხოლოდ მომხდარ ფაქტის წინაშე კი დაგვაყენეს, როგორც ჩვენ, ისე მოკავშირეები. ჩვენში ეგონათ, რომ დენიკინის გამოლაშქრება, ეს რუსეთის წამოსვლა არის ჩვენ წინააღმდეგო. ეს გაუგებრობა არის. დენიკინს იქ ნამდვილი რუსეთი ებრძვის. დენიკინის მსვლელობა არის შავი რაზმის გამოლაშქრება, რომლის წინააღმდეგაც ვართ ჩვენ ისე, როგორც თვით რუსეთი. დენიკინი ფიქრობდა მიეხწია მეორე მიზნისთვის. მას სურდა გადაეკიდებოდით მოკავშირეებს, ჩვენ და მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო. ეს პროვოკაცია იყო და თუ მათ ასეთი მიზანი ჰქონდათ უნდა ითქვას, რომ ეს მიზანი მიხწეული არ არის, რადგანაც თავისუფალი საქართველო უფრო შეეფერება მოკავშირეთა ინტერესებს, ვიდრე დენიკინის ჯარის აქ გამეფება და მგონია, რომ დენიკინებს აქ გასავალი არ ექნებათ მოკავშირეებში. შეიძლება მოკავშირეთა წვრილი აგენტები ანუგეშებდენ დენიკინს, მაგრამ პასუხის მგებელი მოკავშირეთა წარმომადგენლენი მხარს არ უჭერენ დენიკინს და არც დაუჭერს. იმ დროს, როდესაც ვლაპარაკობდი სახალხო სახლში, მე ხელთ არ მქონდა საკმაო საბუთები ამის შესახებ. ჩემი ნათქვამი გამართლდა გუშინ წინ, როდესაც მე და საგარეო საქმეთა მინისტრს გვქონდა ხანგრძლივი ბაასი გენ. უოკერთან. მეორე საქმე ახალციხეში მომხდარ ამბებს შეეხება. ამ ორი კვირის წინათ მივიღეთ ცნობა, რომ იქ შეიდგა მთავრობა, რომლის მიზანიც არის ყარსის და სამფასულმანო საქართველოს ოსმალეთთან შეერთება და, თუ ეს არ მოხერხდებოდა, შეექმნათ ისეთი ურთიერთობა, რომელიც ამას ხელს შეუწყობდა. ჩვენ ვიცით, რომ ახლად შემდგარი სამხრეთ - დასავლეთის ამიერ - კავკასიის მთავრობის მიზანია ეს მხარეები საბოლოოთ შეუერთოს ოსმალეთს: ოსმალების ემისრების, ბეგების და მათი მიმდევრების საქმეა ის, რასაც ვხედავთ ეხლა ჩვენ. სოჭის და ახალციხის ფრონტი ერთი ფრონტია. ერთ და იმავე დროს წარმოებული. იმ დროს, როდესაც დაიწყეს შემოტევა ფოცხოვიდან, ინგლისელებს არ ჰქონდათ დაკავებული არამც თუ არდაგანის ოლქი, არამედ ყარსშიაც არ ჰყავდათ საკმაო ძალა. ამით ისარგებლეს ჩვენმა მტრებმა, შემოვიდნენ ფოცხოვიდან და მოაწყეს თავდასხმა. ადგილობრივი მოსახლეობა არ მიეხმარა მეამბოხეებს, მხოლოდ, როდესაც ფოცხოვიდან შემოვიდნენ აჯანყებულნი, მათ აიყოლიეს ზოგიერთი მცხოვრებნი. ეს აჯანყება აღმოცენდა არა შინაგან ურთიერთობისაგან, არამედ შემოსულ ხალხისაგან იყო მოწყობილი. ჩვენ მომხდარ ამბების შესახებ მივმართეთ მოკავშირეთა წარმომადგენლებს, მათ გვითხრეს, რომ არტაანის ოლქში ჩვენ არც ერთი დარაჯიც არ გვყოლია და რომ გვყოლოდა შეიძლება ყოველივე ეს არ მომხდარიყოვო. მოკავშირეებმა მოგვცეს პირობა, რომ ისინი გაგზავნიან ჯარს და ახალციხის და არდაგანის შუა მათი პიკეტები იდგებიან. მოკავშირენი თფილისს გუბერნიის საქმეებში არ ერევიან და ამიტომ ჩვენ თითონ უნდა აღვადგინოთ წესრიგი ახალ. მაზრ. ჩვენ ახლო მომავალში გვეყოლება საკმაო ძალა, რომელიც ორივე ფრონტს გასწმენდავს. თუ დენიკინი არ გავიდა გაგრის ოლქიდან, ისინი უნდა გავდევნოთ (ტაში) გაგრა ჩვენ მიგვაჩნია სტრატეგიულ საზღვრათ, ისინი გვეუბნებიან, რომ თქვენი სტრატეგიული საზღვარი ძიძის მდინარეთ. ეს მდინარე არავითარს ჩვენ სტრატეგიულ საზღვარი არ წარმოადგენს, ჩვენი საზღვარი უნდა იყოს ის, რომელიც საუკუნოებით ყოფილა, გაგრის ქედი, ოდიშელიძეს აიძულა დაეცალათ ერზერუმი მაშინ, როცა არაფერი არ ამბორთლებდა ამ გადაწყვეტილებას. ერზერუმის დატოვებით ოსმალურ ჯარებს გზა გაეხსნათ კავკასიაში თავისუფლათ შემოსასვლელათ. ამიტომ მიუხედავათ სიმხნეისა, რომელთაც ხელმძღვანელობდა გენ. ნაზარბეკოვი, მტკიცეთ განაგრძობდენ წინააღმდეგობის გაწევას კარაკლისთან მომხდარ ბრძოლამდე, რომელმაც ცოტათ თუ ბევრათ დაასუსტა ოსმალთა შემოტევა".

ასეთია შოვინისტ სომეხთა ახალი „დანოსი" საქართველოზე!

საქართველოს გარშემო

(წერილი ყუბანიდან.)

როგორც სარატოვის რაიონში, ისე ყუბანის ოლქში, მატარებელში თუ სხვაგან, სადაც კი 5—10 კაცი მოიყრის თავს, აუცილებლათ ჩამოვარდება ლაპარაკი საქართველოს შესახებ. საქართველო მოდალატეა. ბაბა, შებედე სომხებს, როგორი ერთგულები გამოიჩინეს, ამბობს ერთი პოლკოვნიკი, საქართველოდან დაბრუნებული. სომხებმა თფილისი აიღეს და ეხლა ჩვენთან შემოერთება უნდათ; ამ დღეებში სომხების მთელი დივიზია ჩვენს ჯარს შეუერთდებაო.

სომხის შოვინისტები ხომ ცეცხლზე ნავთს ასხამენ. ეწევიან აგიტაციას. საქართველოდან რუსებს ერეკებიან, ვინც არ დასტოვებს საქართველოს, ჯარში გაჰყავთ ან ციხეში ამწყვდევენ. აი, რას გაიგონებთ მათგან. ყველაფერი ეს ნდობას უკარგავს ქართველებს, ისედაც შეეიწროებულთ კიდევ უფრო ავიწროებენ.

ჩვენი სამხედრო ტყვეები აუტანელ გაჭირვებას განიცდიან, მშიერნი, შიშველ ტიტველნი დაბრუნებული ტყვეები ლამობენ ჩქარა სამშობლოში მისვლას, მაგრამ ნაცვლად ხელის შეწყობისა, მათ აჩერებენ გზებში, უმეტესად ყუბანში, ამუშავებენ სოფლებში, არის შემთხვევა, როცა როზგებითაც უმასპინძლდებიან. ამის შესახებ არა ერთხელ მიმართეს ყუბანის მთავრობის წევრს, რომელიც განაგებს ტყვეების საქმეს, რომლისგანაც პასუხად მიიღეს: „ყველა ქართველი ტყვეები მიდებისთანავე იგზავნებიან საქართველოში, ჩვენ მათ არ ვაჩერებთ, მაგრამ არის შემთხვევა როცა დენიკინის მოხელენი აჩერებენ მათ, ამის გამო საჭიროა მიმართოთ დენიკინსო. ასეც მოიქცა საქართველოს წარმომადგენელი, მაგრამ ასეთ მოვლენას ბოლო არ ეღება. დენიკინის მომხრენი კი ყოველივე საშუალებას ხმარობენ რითაც კი შეეძლებათ შეავიწროვონ საქართველოს მოქალაქენი. ბ. ქ.

დამფუძნებელი კრების გარშემო

არჩევნების შედეგი.

ხენაკის მაზრა. დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი 18 თებერვალს სადამომდე. სულ ხენაკის მაზრაში იყო 91 უბანი: ცნობა მოვიდა 86 საარჩევნო უბნიდან:

ქ. ახალ-ხენაკი (1 უბანი) № 1—968 ხმა, № 2—402, № 3—28, № 5—100.

თეკლათის ხაზოგადოება (6 უბანი) № 1—2203 ხმა, № 2—91, № 3—460, № 5—139, № 7—1, № 8—1.

ძველი ხენაკის ხაზოგადოება (2 უბანი). № 1—691 ხმა, № 2—90, № 3—200 № 5—40 № 7—6 № 11—1.

ეგუჯეთის ხაზოგადოება (3 უბანი). № 1—702 ხმა, № 2—8, № 3—109, № 5—49.

ნოხირის ხაზოგადოება (4 უბანი) № 1—1304 ხმა, № 2—5, № 3—141, № 5—14, № 8—1, № 9—1.

ბანძის ხაზოგადოება (4 უბანი) (ცნობები ყველა უნებიდან არ იყო № 1—1200 ხმა, № 3—360.

კვათისის ხაზოგადოება (6 უბანია) № 1—2424 ხმა, № 2—129, № 5—52.

ხუჯუნის ხაზოგადოება (4 უბან.) № 1—285 ხმა, № 2—113, № 3—3, № 5—92, № 7—2.

აბაშის ხაზოგადოება (2 უბანი) № 1—363; 2—51; 3—51; 5—21.

ონტოფოს ხაზოგადოება (2 უბანი) № 1—771, 2—3, 3—85, 5—41.

ჭალადიდის ხაზოგადოება (2 უბანი) № 1—627, 2—55, 3—4, 5—13, 7—1, 8—2, 11—2.

პროკენტი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში შეადგენ 60—70%. დანარჩენ რაიონებიდან მოსული ცნობების თანახმად პირველ რიგში გადიან სოციალ დემოკრატების კანდიდატები.

ნორიო (თფ. მაზრა). № 1—1515.

ლილო (თფ. მაზრა). № 1—402.

დიღომი (თფ. მაზრა). № 1—1441.

დუშეთის მაზრაში.

	№ 1	№ 5
ფანანაური	704	69
ანანური	252	86
ბაზალეთი	285	87
ყვავილი	226	4
მილასხვრის კარი	203	15
ხაკრამული	185	6
ჭილურტი	160	2
ქაისხევი	122	11
ებნისი	66	13
გრემის ხევი	159	6
არღუნი	413	2
ითრი	192	—
მუხრანი	1760	139

სუფსა № 1—1501; მე-3—52; მე 5—4; მე 2—13.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 თებერვალი

რეიტერის სააგენტოს ცნობები.

პარიზელ კორესპონდენტის ცნობით დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოიმინეს რა ვენიზელოსის მოხსენება, დაადგინეს საბერძნეთის საკითხი გადასცენ კომისიას, რომელშიც შევა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ორ-ორი წარმომადგენელი.

პარიზი. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აირჩიეს კომისია, რომელიც განიხილავს რუმინეთის მოთხოვნილებებს.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ითათბირეს ტეშენში (?) ჩეხებსა და პოლონელებს შორის კონფლიქტზე, რომელიც შექმნა იმ მდგომარეობამ, რომ ის რაიონები, სადაც ქვანახშირის მადაროებია და გადის რკინის გზა ტეშენსა და გაბლუდკაუს შუა, ჩეხელთ უჭირავთ. წარმომადგენლებმა დაადგინეს: მოვაგონებთ იმ ერებს, რომელთაც საზავო კონფერენციაზე შემოაქვთ ტერიტორიალური საკითხი, რომ მათ კონფერენციის გადაწყვეტამდე არ უნდა დაიპირონ ტერიტორია, რომლის დაჭერაც სურთ. წარმომადგენლები ადგილობრივ გზავნიან კომისიას.

ეიფელის კოშკი. ამერიკის ელჩის საფრანგეთში ვილიამ გრეივის შორის თხოვნა გაანთავისუფლონ თანამდებობიდან, ვილსონმა შეიწყნარა.

ვაშინგტონი. დემოკრატ სენატორებმა გადასწყვიტეს შემოიღონ სენატში ლამის სხდომები სენატის დათხოვამდე იმ მიზნით, რომ წესრიგში მოიყვანონ დაგროვებული კანონმდებლობანი. სხდომები საათით ადრე დაიწყება.

გუშინდელ მიტინგზე ლონდონში ლორდ ბრიკენ კანადელების მიმართ სიტყვაში სთქვა: „განგებამ ბრიტანია აირჩია იმ რასათ, რომელიც ყველა სხვა ხალხზე უფრო ზრუნავს მშუშებისთვის. მრავალი თქვენგანი ბრუნდება სამშობლოში იმ შეგნებით, რომ მონაწილეობდენ არა მარტო სახელმწიფოს, არამედ კიდევ ცივილიზაციის გადარჩენაში".

ხალხთა ლიგის მუდმივი ვექილები ინგლისის, გალიფენიანი იფრესტები ლორდ ბუკმასტერი და ლორდ პარმური კმაყოფილნი არიან ხალხთა ლიგის წესდებით და იმედი აქვთ, რომ პროექტი მიზანს მიაღწევს.

ბელგიანული კრების ცნობები.

გერმანიის დამფუძნებელ კრების წევრ ქალებმა გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ შიმშილის ბლოკადა და დაამბრუნონ სამშობლოში გერმანული სამხედრო ტყვეები.

ზალცბურგის ლანდტაგმა ერთხმათ მიიღო გერმანიასთან შეერთების რეზოლიუცია.

ავგუსტ მიულერის გადადგომის გამო სახალხო ქონების მინისტრის ადგილი დაიპირა სახალო რწმუნებულმა ვიზელმა.

დროებითი ზავის კომისიაში მოლაპარაკების დროს, დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ, ერცბერგმა სხვათა შორის სთქვა: დროებითი ზავის გაგრძელებას მიზნათ აქვს ზავის გადადება. იმ დროს, როცა გერმანია დიდ მსხვერპლს იღებს, მოკავშირეთა მთავრობები არ ცდილობენ ზავის ჩამოგდებას. 11 თებერვლამდე გერმანიამ გადასცა მოკავშირეებს 4137 ორთქმავალი და 136500 ვაგონი. დემობილიზაციის შემდეგ გერმანიას ყავს მხოლოდ 200 ათასი ჯარისკაცი. შემდეგ ერცბერგმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ელზას ლორენში ყველაფერ გერმანულს სდევნიან.

რეინ ვესტფალიის სამრეწველო ოლქში მუშებსა და მთავრობის ჯარს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ფიქრობენ, რომ, თუ გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს, შეტაკება აუცილებელია.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო კონფერენციამ ესენში მოითხოვა მთავრობისაგან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღდგენა, ოფიცრების და გენერლების პასუხისგებაში მიცემა და მთავრობის ჯარის გაყვანა იმ ადგილებიდან, რომელიც უჭირავს შე-7 საარმიო კორპუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო გაფიცვით იმუქრებიან. ორი აფიცერი მძევლათ ყავთ.

მთავრობის ჯარის დორტენში შესვლისას გაიმართა ბრძოლა კომუნისტებთან. მთავრობის ჯარმა გაიმარჯვა. გერზენ-კირკენში სპარტაკელებმა ნებაყოფლობით იგდეს ძალა უფლება.

ინგლისური ბრესის ცნობები.

გამოქვეყნეს ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი. ლიგის ყველა წევრები იმოქმედებენ თავის წარმომადგენლების საშუალებით, რომელნიც დანიშნულ ვადაზე შეიკრიბებიან, და აგრეთვე აღმასრულებელ საბჭოში და მუდმივ საერთაშორისო სეკრეტარიატის საშუალებით. აღმასრულებელ საბჭოში შევლენ შეერთებულ შტატების, ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და 4 სხვა სახელმწიფოს დელეგატები. საბჭო გამოაქვეყნებს წინადადებას შეიარაღების და სამხედრო მასალის, ამუნიციის დამზადების შემცირების შესახებ. შესდგება მუდმივი კომისია, რომელიც ლიგას ხელმძღვანელობას გაუწევს სამხედრო და საზღვაო საკითხებში. ლიგის წევრი—სახელმწიფო მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას ლიგის ყველა წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური ხელშეუხებლობა. ლიგაში შესულ სახელმწიფოებს არ შეუძლია ომის დაწყება, ვიდრე დავის საგანი არბიტრაჟს ან აღმასრულებელ საბჭოს არ გადაეცემა გასარჩევად და მხოლოდ 3 თვის შემდეგ შეუძლია სამხედრო მოქმედების დაწყება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ შეუძლია ომი გამოუცხადოს ლიგის წევრ სახელმწიფოს, თუ კი ის ლიგის დადგენილებას დაემორჩილება. შეიქმნება მუდმივი საერთაშორისო სამსჯავრო იმის გამოსარკვევათ, თუ რომელი საკითხი უნდა გადაეცეს არბიტრაჟს. საბჭომ უნდა გამოარკვიოს ლიგის რომელმა წევრმა რაოდენი სამხედრო და საზღვაო ძალა უნდა გამოყოს ხალხთა ლიგის პირობათა დასაცავათ. რაც შეეხება ახალშენებს და იმ ქვეყნებს, რომელთაც სხვა სახელმწიფოები ფლობდენ მსოფლიო ომამდე, და რომელთაც ჯერ არ შეუძლიათ დამოუკიდებლათ არსებობა, მათ მიმართ უნდა გამოყენებულ იქნეს ის პრინციპები, რომლის ძალითაც ასეთი ერების განვითარება და უზრუნველყოფა შეადგენს ცივილიზაციის უწმიდეს მიზანს. ამას უნდა მიაღწიოს ხალხთა ლიგამ. ამ ქვეყნების თანდათანობითი კონსტიტუციონალური განვითარება უნდა მიეცეს მოწინავე ერებს, რაც უნდა ხდებოდეს თანახმად ლიგის ინსტრუქციებისა, რომელიც დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ რამდენათაა განვითარებული ესა თუ ის ხალხი. ოსმალეთის იმპერიის ზოგიერთი ყოფილი ოლქი იმდენად განვითარებულია, რომ მათი დამოუკიდებლობა შეიძლება იქნეს ცნობილი იმ პირობით, რომ მათ საადმინისტრაციო დახმარებას აღმოუჩენენ, ვიდრე ისინი შესძლებდენ სრულიად დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობას. სხვა ერები, როგორც მაგალითად ცენტრალ. აფრიკის ერები, ჯერ იმდენად განუვითარებელნი არიან, რომ რწმუნებულებმა თავის თავზე უნდა აიღონ ტერიტორიის მართვის პასუხისმგებლობა. რწმუნებულებს ყოველ წლიურად ლიგას უნდა წარმოუდგინოს მოხსენება მათდამი რწმუნებულ ტერიტორიის მართვის შესახებ. დაარსდება რწმუნებულთა კომისია, რომელიც მიიღებს და განიხილავს წარმოდგენილ მოხსენებებს. ლიგაში შესული სახელმწიფონი ეკიდებიან დაამყარონ და დაიცვან სამართლიანი შრომის პირობები ქალებსა და ბავშვთათვის, როგორც საკუთარ, ისე სხვა ქვეყნებში.

მარშალ ფოშმა გერმანიის დელეგატებს აუწყა დროებითი ზავის გაგრძელების პირობები, რომელიც თებერვლის 17-დან შვა ძალაში: გერმანულ ჯარებს ეკრძალებათ პოზნანის პროვინციის საზღვრის გადალახვა. ფოშმა არ შეიწყნარა გერმანიის შუამდგომლობა, რომ მათ 24 საათი მისცემოდათ პასუხის წარმოსადგენად.

ვილსონმა დეპეშით სთხოვა ამერიკის კონგრესის საგარეო საქმეთა კომისიას გადაიდოს კამათი ხალხთა ლიგის შესახებ იმ დრომდე, სანამ ის შესძლებს ლიგის ხელშეკრულების ყოველი მუხლის განმარტებას.

ჰავასის საგენტო იუწყება, რომ განზრახულია ქაირსა და კალკუტას შუა გზაფხულზე ყოველკვირეული საჰაერო მიმოსვლა მოეწყოს. საჰაერო გზა მომავალში ასეთი იქნება: კრეიდონ—ბრიუსელი—კელნი—მოსკოვი—კასპიის ზღვა კონდაგარი—მულტანი.

მოხალისეთა ჯარი კავკასიაში ბალშევიკებს ამარცხებს და სწრაფად წინ მიიწევს ბდ. თერგის ორივე ნაპირებით კავკასისკენ.

ინგლისის გემი „კასტილია", რომელიც ბომბეიდან ინგლისში მოდიოდა დიდი დელეგის გამო სუეცის არხში დაიღუპა. სხვა ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

კაპიტალტიდან იუწყებიან, რომ გემი „ლურგამ კასტო"-ის მეზღვაურებმა უარი სთქვეს ვროვნულ დელეგაციის ევროპაში წაყვანაზე. გემმა დეპეშა არ წამოიყვანა და ისე წამოვიდა.

თებერვლის 7 სტამბოლში ჩავიდა

ალენბი, რომელიც ჰატიფიცირებთ მიიღეს. ალენბი მეორე დღეს პალესტინაში წავიდა.

მოკავშირეთა ელჩების მთავარსარდალი ბალკანეთში გენ. დისპერე გადავიდა თავის მთავარ ბანაკში, სტამბოლში.

დ-რ ფლონდერი და რუმინიის მთავრობის მისიის წევრი კაპიტანი რადუ ბერნში ჩავიდნენ. მათი ცნობით ტრანსილვანიაში აღდგენილია ნორმალური ცხოვრების პირობები და უკვე შეუდგენენ მუშაობას. რუმინიაში მდგომარეობა უფრო ცუდია. მეორეს მხრივ, სერიოზული დაბრკოლებანია ჰუნგრეთის მთავრობის მხრიო, რომელიც ლიბერალობას სჩემობს, მაგრამ ისეთივე რეაქციონერია, როგორც მისი წინამორბენი. ის ყოველ საშუალებას ხმარობს აწყენინოს რუმინიის, ჩეხოსლოვაკიის და სამხრეთ-სლოვენთა მთავრობებს. შვეიცარიაში ცრუ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ტრანსილვანიაში საერთო გაფიცვებია, რუმინიის ჯარი წარმოუდგენელ ხეტიალობას სჩადიოდეს და დაეჭიროთ სამღვდელოება. ეს ხმები ყალბია, რასაც დაამოწმებენ ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის მისიის ოფიცრები.

ხალხთა ლიგის დაარსების გამო ამერიკის ეკლესიებში და სინაგოგებში სიტყვები წარმოთქვა.

ბალშევიკების ცნობები

მოსკოვი. თებ. 18. **რიგა.** თებ. 16. რიგის რკინის გზის მუშები ორგანიზაციულად შეკავშირდენ. ყოველ სადგურზე კომიტეტი დაარსეს, რომელიც კანტროლს გაუწევს რკინის გზის მთავარ სამმართველოების განკარგულებებს. **კიევი.** თებ. 16. ვოლინის და პოდოლის გუბერნ. გლეხები დირექტორიის წინააღმდეგ აჯანყდენ და მოითხოვეს საბჭოთა მთავრობის აღდგენა. შესდგა რაზმები საბჭოთა მთავრობის დასახმარებლად. დირექტორია გალიციაში გასაქცევად ემზადება. **კიევი.** თებ. 12. დირექტორიამ ევაკუაციის დროს თან წაიღო 4 მილიონი მანეთი. „კიევის კომუნისტის“ ცნობით, ბესარაბიაში მდელვარეობა რუმინელების წინააღმდეგ, რომელნიც გლეხებს ძარცვავენ. კიევში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში სდგება. მთავრობის დაწესებულებებმა მოქმედება დაიწყო. ოდესაში საბჭოთა მთავრობის მიერ კიევის დაჭერის შემდეგ, არეულობა დაიწყო. მრავალი ხალხი ქალაქს სტოვებს იმის შიშით, რომ ოდესასაც საბჭოთა მთავრობა დაიჭერს. უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარის შემოტევის გამო საფრანგეთის ჯარის შტაბი იძულებული შეიქნა სადგურ უდელნაიდან დაბრუნებულიყო უკანვე ოდესაში. უკანვე იგზავნებიან ბრაზულსა და ვონიარკოს შუა მდგარი რაზმები. **ნაუენი.** თებერვალი 17. ვეიმარში მთავრობამ მოიწვია პარტიების ბელადები სათათბიროთ. შეიდიმანმა ერცბერგს დეპეშა გაუგზავნა თხოვნით ხელი მოაწეროს მოკავშირეების დროებითი ზავის პირობების გაგრძელების ვადას და გადასცეს მარშალ ფოშს წერილობითი განცხადება, რომ გერმანია დაუძლურების გამო ყოველ დონეს ხმარობდა აესრულებია დროებითი ზავის პირობები. ეხლა კი ჰპირდება აღასრულოს ყველა პუნქტები, რომლის ასრულება აქამდე არ ხერხდებოდა. სპარტაკელები ყურადღებას არ აქცევენ ბელგიის იქ მდგარ ჯარს და იმუქრებიან დიუსბურგის ბურჟუაზიის წინააღმდეგ აჯანყებით. დროებითი ზავის ხელშეკრულობაში აღნიშნულია, რომ გერმანელ მეზღვაურებს მოკავშირეები მაშინ გააძევებენ, თუ დამტკიცებული იქნება, რომ ისინი ბალშევიკურ აგიტაციას ეწეოდენ. გერმანიის მთავრობას ევალება ყოველგვარი ზომები მიიღოს გერმანელ მეზღვაურთა შორის ბალშევიკურ მოძრაობის ჩასაქრობათ. **კიევი.** თებ. 14. საბჭოს სხდომაზე პიატაკოვმა სთქვა: რუმინიაში გლეხთა აჯანყება ხდება. ჰუნგრეთში ჯარისკაცთა 40—80 პროცენტი ჰუნგრეთის კომუნისტურ პარტიას მიყვება.

კარნაფონი. თებ. 18. ბერლინიდან იუწყებიან, რომ კომიტეტმა, რომელიც დანიშნულია ლლოიდ ჯორჯის მოკავლის შესახებ საქმის საწარმოებლათ, მთავრობას განუცხადა, რომ ის უარს ამბობს განაგრძოს გამოძიება, სანამ იმ აფიცრებს და ჯარისკაცებს, რომელნიც კომიტეტს მიაჩნია დამნაშავეთ არ დაატყვევებენ და არ გადასცემენ სამოქალაქო სასამართლოს. **ბერლინი.** თებ. 13. **გაზ.** „ფოსიშე-ცეიტუნგი“ იუწყება კიელში სპარტაკელების გამოსვლების დაწვრილებით ცნობებს. ყველა თეატრი, რესტორანი და კაფეები დახურულია. კომუნისტებმა ქალაქის თავდაცვის რაზმს იარაღი აყარეს. გაიგზავნა სახლეთი არტილერია, რომელმაც მთავრობის დაწესებულებები დაიკავა. სპარტაკელებთან შეტაკება ხდება. **ბერნი.** თებ. 12. ათინის საგენტო იუწყება, რომ სტამბოლში საბერძნეთის ჯარი შევიდა. დამფუძნებელ კრებაზე ერცბერგმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ცდა შეიმუშავებენ დროებითი ზავის პირობები, უნაყოფო იყო. გენერალ ფოშის თარჯიმანმა განაცხადა, რომ ვილსონი ახალ პირობებს მხარს უჭერს. **სამხედრო ცნობა:** კუნგურის მიმართულებით, ველიშნოსთან მოწინააღმდეგე დამარცხდა. პერმის მიმართულებით სოფელ ოშიცკოესთან ჩვენი შეტევა გრძელდება. **იამბურგი.** თებ. 18. წითელარმიელებმა ბრძოლით დაიპყრეს სოფელი ფიტინკა. წამოიყვანეს 100 ტყვე. ჩვენი შეტევა გრძელდება. **კიევი.** ბელთ ვიგდეთ რადიო, სადაც პეტლიურა გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას, რომ მოკავშირეები არ უწევენ მას დახმარებას. მზადდება მატარებელი სურსათით პეტროგრადში და მოსკოვში გასაგზავნათ. საჩუქრათ კიევის მუშებისა და გლეხებისაგან. მზადდება სურსათი ვეიკოროსიაში გასაგზავნათ.

ფრანგული პრესის ცნობები

ნიუ-იორკიდან იუწყებიან: საზავო უწყების სეკრეტარმა განაცხადა: გუშინდელი დღე ოქროს დღეა მსოფლიო ისტორიაში, რადგანაც 14 ერი შეთანხმდა იმ ხელშეკრულების შესახებ, რომლის ძალითაც „დიდი ხარტია“ და დამოუკიდებლობის დეკლარაცია უკვდავ აქტის მხოლოდ წინამორბედია, რომელიც ბედნიერებას მოუტანს კაცობრიობის მომავალ თაობას.

სამხედრო სავაჭრო საბჭო ვაშინგტონში ამ ჟამად ინგლისის და იტალიის გარდა ყველა ქვეყნებში ლორის ხორცეულის თავისუფალ გაზიდვის საკითხს ისილავს. თავისუფლათ შეიძლება გაიხიდოს ყველა ქვეყნებში ყველა ხარისხის ყავა.

პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესის კომიტეტს გაუგზავნა რადიო, რომლითაც აუწყებს, რომ ხალხთა ლიგის კომისიაში მთელი ქვეყნის წარმომადგენლები შევიდა. 5 დიდი სახელმწიფოს გარდა კომისიაში შევიდა ბელგიის, სერბიის, ჩინეთის, საბერძნეთის, ბრაზილიის და პორტუგალიის წარმომადგენელნი, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კამათში და დახმარება გაგვიწიეს კონსტიტუციის შედგენაშიო.

რუსეთიდან სამშობლოში მიმავალ ფრანგ აფიცრების ფინლიანდიის მწაწყალზე გავლამ და აგრეთვე განცეს ნავთსადგურში ფრანგულ გემების „ინტერნიდ“ ის და „ტემერ“ ის ყოფნამ ფინლიანდიის შემთხვევა მისცა საფრანგეთისადმი თავისი სიმპატიები გამოეთქვა. განგებში ხალხი მიესალმა მეზღვაურებს, ჰელსინგფორში ფრანგ აფიცრების მოსვლის გამო დემონსტრაცია გაიმართა. ფინლიანდიის რეგენტმა გენ. მანერჰაიმმა მათ პატივ-საცემათ გაუმართა საუზმე, რომელსაც მოკავშირეთა წარმომადგენელნი დაესწრენ. მანერჰაიმმა წარმოსთქვა სიტყვა და სიხარული გამოქმთვა, რომ მას მიეცა შეძლება მისალმებოდა მამაც საფრანგ. ჯარის წარმომადგენლებს. მან სთქვა: საფრანგეთმა პირველმა აღიარა ფინლიანდიის დამოუკიდებლობა და ეხლაც ინიციატივა აიღო, რომ საზავო კონფერენციაზე იცნოთ ფინეთის დამოუკიდებლობა. ნიშნათ მადლობისა საფრანგეთისადმი, ბატონებო, გთხოვთ დალიოთ საფრანგეთის წარმომადგენელთა სადღეგრძელო. გაუმარჯოს საფრანგეთს.

ბალშევიკების ცნობა სოც. ფედ. მაშვრალთა შესახებ.

გეშინ თფილისის რადიო-სადგურმა შემდეგი ცნობა მიიღო მოსკოვიდან: გაზეთი „ბორბა“ იუწყება: საქართველოს სოციალ ფედერალისტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა. პარტიას გამოეყო მემარცხენე ჯგუფი. დაარსეს ჩაგრულთა პარტია, რომელიც იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. პარტიამ განაცხადა, რომ ის ეცდება დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმის მიღწევის.

მთავრობის ცნობა

თანახმად იმ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო 11 ამა თებერვლის „ბორბა“-ში სათაურით—„საქართველო მოითხოვს დაკმაყოფილებას დიდი ბრიტანეთისაგან“, საქართველოს მთავრობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ გაეცნო რა ის საკითხებს ფაქტებს, სცნობს, რომ გამოთქმა, წერილში ნახმარი, იყო არა სამართლიანი და შესაძლებელი იყო მისი არა სწორად გაგება. საქართველოს წარმომადგენელი ბათუმში გენ. გედევანიშვილი, კავკასიაში მყოფი ბრიტანეთის ჯარების სარდლის გენერალი ფორესტიე ვოკერის მოთხოვნით შეცვლილი იქნება სხვა პირით.

საგარეო საქმეთა მინისტრი

გეგეჭკორი.

ახალი ამბები

ახალციხეში. ბრძოლის დროს მოკლულ იქნა ჩვენი 6 აფიცერი; დაიჭრა 7 და უგზო უკვლოდ დაიკარგა 10. ჯარისკაცები: მოკლულ იქნენ 62, დაიჭრა 42, უგზო უკვლოდ დაიკარგა 209 კაცი. მოკლულ აფიცრებთა შორის არიან საპორის ბათალიონის აფიცრები მიქელაძე; მე 4 პოლკის ოფიცერი მიქელაძე, მე-6 პოლკის აფიცრები ჯაჯეიშვილი და კეზელი.

სამხედრო მინისტრმა გამოიძია ახალციხეს ფრონტზე დახევის მიზეზი და გამოძიების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა მე 4 პოლკის უფროსი გენერალი გელოვანი და მისი თანაშემწე პოლკოვ. მაჩაბელი, მე-3,6 და მე-7 როტის მე 4 პოლკის უფროსები სოფელ ჩიხვიდან დახევისათვის სასამართლოში უნდა იქნენ მიცემულნი. სამხედრო მინისტრმაც ბრძანება გამოსცა დაატუსაღონ ცხენოსან დივიზიის მე-2 დივიზიის შტაბის ოფიცრები: მამულაიშვილი, პლავსკი და კანდელაკი ომის დროს ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

◆ **ინგლისის მისიას** აზრად აქვს ადგილზე რკინის გზა თავრისსა და ერევანს შუა, რომელიც ინგლისის სარდლობას სჭირდება ჯარების გადასაყვანათ.

◆ **ეროვნულმა საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა ინგლისის მისიის წინაშე, რათა მათ უფლება მიეცეს პურისა და საერთოდ სურსათის ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოტანის. სურსათი მიეცემა იმ დამშეულ ბერძნებს, რომელნიც ამიერ-კავკასიაში ცხოვრობენ.

◆ **სახალხო გვარდიის** მთავარმა შტაბმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ შეერთებულ სხდომაზე სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისა სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელთან, გარნიზონის უფროსის, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელის გენერალ-გუბერნატორის და მილიციის უფროსის თანდასწრებით დადგინა ცხრილ იქნას აუცილებლად, რომ შესდგეს გენერალ-გუბერნატორთან კოლეგია, რომლის უცნობლად გენერალ-გუბერნატორს უფლება არ ექნება გამოსცეს არც სავალდებულო დადგენილება, არც ბრძანება. ამ კოლეგიაში შედიან: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარე, ქალაქის თვითმართველობისა და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელნი.

◆ **ქუთაისის მომხმარებელ** საზოგადოების მოსამსახურენი მეორე კვირაა გაფიცულნი არიან. საზოგადოების გამგეობა სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს მოგვარებულ იქნას კონფლიქტი.

◆ **ლექცია.** დღეს, 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, დანიშნულია ლექცია: ვლ. ბაქრაძისა—სახელმწიფოს უფლება. ი. ირემაშვილისა—ეკონომიური საკითხები.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** მოუწოდებს თავის წევრთ დაუყონებლივ შემოიტანონ მიმდინარე წლის საწევრო გადასახადი და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას.

◆ **უცაბედი მკვლელობა.** 17 თებერვალს მე 2 საკომისარიატის უბანში ტ. მურადოვს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი. ტყვიამ მოხვდა ზ. კანონოვს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

◆ **გაძარცვა.** 18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე გაბრიელოვის ბინიდან, ვერის ღალმართი № 11, რამოდენიმე შეიარაღებულ ბოროტმოქმედებმა წაიღეს 8,500 მანეთი.

◆ **დაკარგული ბავშვი.** გასული წლის მაისში სოფ. გუთურიდან (გურია) გაიპარა 11 წლის ობოლი ბავშვი გიდეონ იაგორის ძე გეორგაძე, მას შემდეგ ბავშვი სახლში არ დაბრუნებულა. ნიშნები ბავშვის შემდეგია: ტანად დაბალია, 11 წლისაა, პირის სახე თეთრი, თვალები ჭრელი, თმა წაბლის ფერი. ვსთხოვთ ვინც რამე იცის ამ ბავშვის შესახებ გაგვაგებინოს შემდეგი მისამართით: ჩოხატაური, სერგო ბოლქვაძეს.

◆ **ვიპოვნე** გოლოვინის პრ. სახელმწიფო თეატრის პირდაპირ 10 პატარა გასაღები რგოლზე, მოიკითხეთ ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგურში შალვა ჯავახიშვილთან.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმისაგან.** უკანასკნელ დღეებში ქ. თფილისში აქვს ადგილი ძარცვას, ამასთანავე მძარცველები შედიან მოქალაქეთა ბინებში განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელთა სახელით, რომელნიც არდგენენ გენერალ-გუბერნატორის სახელით ყალბ მოწმობას, რომ მათ უფლება აქვთ გაჩხრეკისა. ასეთ შემთხვევებს რომ ადგილი არ ექნეს, განსაკუთრებული რაზმი აცხადებს, რომ თუ განსაკუთრებული რაზმის წევრები მივლენ ბინის გასაჩხრეკად, ბინის პატრონმა უნდა მოსთხოვოს მათ გარდა შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ-გუბერნატორის და განსაკუთრებულ რაზმის უფროსის ორდერისა, აგრეთვე მათი პიროვნების მოწმობაც ფოტოგრაფიული სურათით, და თუ საეჭვო იქნება შეიძლება ცნობების მიღება ტელეფონით № 53 ან № 13—59.

◆ **თფილისის საბალახნო ხვოლის გარშემო** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინადადებაზე კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უპასუხა, რომ თფილისს საბალახნო სკოლას ინახავდა თვით საზოგადოება და სამინისტროსაგან მას სკოლის საწარმოებლათ ფული არ მიუღია და ამ შემწეობის მოსპობაზე ლაპარაკს ალაგი არ უნდა ჰქონდეს. საზოგადოებისავე ხარჯით არის შეძენილი სკოლის ავეჯი და საზოგადოებისავე შრომით და ხარჯით აგებულია შენობები. რაც შეეხება სკოლის მიწას, ამაზე საზოგადოების საბჭოს მოჰყავს ვრცელი ცნობა, რომლიდანაც სჩანს რომ ეს მიწა საკუთრებაა ამ საზოგადოების და ყოფილ რუსეთის მიწათმოქმედების სამინისტროც კი ამასა გრძნობდა და ძალას არ ხმარობდა სკოლის მიწის ჩამოსართმევად, თუმცა ამ საგანზე ყოფილ სამინისტროს მიწერ-მოწერა ჰქონდა საზოგადოებასთან.

◆ **სამეურნეო კურსები.** მიწათმოქმედების სამინისტროო მოკლე ხანში აწყობს ორ-კვირიან კურსებს სოფლის მასწავლებელთა, მეურნეთა და კერძო მსურველთათვის. კურსებზე მსმენელთ შეასწავლიან ხილეულობის და ბოსტნეულობის ტეხნიკურად დამზადება.

სამეურნეო კურსებზე, რომელსაც მიწათმოქმედების სამინისტრო აწყობს, 150 თხოვნაზე მეტი შემოვიდა, ლექციების კითხვა იწარმოებს თბ. სამაზრო საერობო ბინაზე (გოლოვინის პრ. № 6) სადამოობით. ლექციების კითხვა 5—9 საათამდე იქნება.

ქრონიკა

დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შ სდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღ. 6 საათზე, მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე, დანიშნულია ამავე კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, ღლის 8 საათზე, მეოთხე რაიონული კოლექტივის ბინაზე, შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის სასწრაფო სხდომა.

— დღეს, 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების მორიგი წლიური კრება სასამართლოს პალატაში.

პროვინციის ქრონიკა.

თამაკონის უმაღ. დაწყ. სასწავლებელს შესწირა ათასი მანეთი აბელ გიოზის ძე მილორავამ, გადმოსცა 220 მან. თავის ნაცნობებთა შორის მოგროვილი, ამავე სასწავლებლის სასარგებლოდ.

ახალციხის აჯანყების ხელმძღვანელი

სერვერ ბეგ ათაბეგოვ ქობლიანსკი.

„სახ. საქმე“-ში გ. ახალციხელი ასე აგვიწერს ახალციხის აჯანყების ერთ მეთაურთაგანს.

სერვერ ბეგ ათაბეგოვი ქობლიანელი (ნამდვილი სახელია) ახალციხელია, დიდი მამულ-დედული აქვს ქობლიანში (ახალც. მაზრაში). მარტო ტყის სივრცე, რომელიც იმას ეკუთვნის, შეიცავს 40 ათას დესეტინამდე და აბა, იმის რა ხელს მისცემდა, რომ სოციალისტურ საქართველოს სუვერენობა დაშვიდრებულიყო ახალციხის მაზრაშიაც.

თვით სერვერ ბეგი ახალგაზრდა კაცია 30—35 წლისა და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი აქვს გათავებული, ცოცხალი, მოძრავი და საკმაოთაც მჭერმეტყველია; ამასთანავე შეუდრეკელი ნების.

როდესაც 1917 წელს რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნები გამოცხადდა ამიერ-კავკასიის კომისარიატიდან თვის უმთავრეს რწმუნებულ ხელმძღვანელად არჩევნების მოსახდენად ყარსის ოლქისკენ გამოგზავნილი იყო სერვერ ბეგი. იმან ერთი საათითაც მოსვენება არ იცოდა, მუდამ გზაზე იყო გაკრული: დადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში, ახდენდა მრავალ რიცხოვან კრებებს და იმდენად პირდაპირ დანაკისრ მოვალეობას არ ასრულებდა, რამდენადაც თვისი ცხელმხრივი, ვიწრო თურქოფილური დამგროგვით ალეგვებდა და რაზმავდა მცხოვრებლებს. სერვერ ბეგი სულ იმას ჩასჩიჩინებდა იქაურ შეუგნებელ მასას, რომ სამუდამოდ დაინგრა რუსეთი, ყველა ერს, როგორც უნდა ეხლა ისე იარსებებს და ვინც „ყოჩაღად იქნება, მთელი კავკასიაც იმისი იქნებაო. ჩვენ—მუსულმანები—კავკასიაში თითქმის რვა მილიონი სული ვართო და ამიტომ ჩვენი უნდა ვიყოთ მთელი კავკასიის ბატონ-პატრონნიო: სომხები უნდა სულ გაიწყვიტოს და გაირეკოს და დანარჩენ ერებმა კი ჩვენ წინ თავი უნდა მოიხაროსო. ამასთანავე სერვერ ბეგის უმთავრესი ყურადღება იქით იყო მიქცეული, რომ მუსულმან მცხოვრებლებს რაც შეიძლება მეტი იარაღი შეეძინათ და თვითონაც ურიგებდა იარაღს. ყოველივე ეს რომ გაიგო არტაანის ოლქში მომქმედ ჯარისკაცთა, მუშათა და სხვა ორგანიზაციათა შეერთებულმა კოლექტივმა,—მაშინვე დეპეშით აცნობა თფილისში ამიერ-კავკასიის კომისარიატს და სთხოვა დაუყოვნებლივ უკანვე გაეწვიათ სერვერ ბეგი, როგორც არასაიმედო პირი და იქაურ ცხოვრების ამრევ-დამრევი. რადგან ალინშნულმა ორგანიზაციებმა პასუხი ვერ მიიღეს, შეიკრიბნენ და დადგენილება გამოიტანეს, რომ სერვერ ბეგი 24 საათში ადგილიდან იქაურობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იტოვებდნენ თავის უფალ მოქმედების უფლებას.

„ამ დადგენილების შეტყობის შემდეგ კი იკადრა სერვერ ბეგმა გაპარვა; ჩასახლდა მაინც მახლობელ ფოცხოვში და იქიდან თვისი მორჩილი აგენტების საშუალებით განაგრძობდა საძრახ მოქმედებას.

ერთხელ, ღამე, ფარულად მოსულიყო ჩემთან არტაანში ზოგიერთ ცნობების გასაგებად და როცა მე, სხვათა შორის, უსაყვედურე ასეთი „მოღვაწეობა“, ქართველ მაჰმადიანების გადადგომება და სხ., იმას სასაცილოდაც არ ეყო და მიპასუხა: „მაინც და მაინც ჩვენ ქართველების წინააღმდეგ არაფერი გვაქვს, მაგრამ თქვენც ანგარიში უნდა გაუწიოთ ჩვენ მრავალრიცხოვან სიძლიერეს“...

თფილისი და ტიფის ეპიდემია

ჩვენს სამშობლოს დიდი უბედურება ეწვია. სასტიკი დაუნდობელი სენი მოგდო ქალაქს და სოფელს და ხალხს დიდ შიინს აყენებს. უეცველი ნიშნები აწინდელი დიდი ეპიდემიისა ბევრისათვის ცხადი იყო რამდენიმე თვის წინად და წინასწარშეტყველებითი ნიკი არ იყო საკვირო, რომ ნაადრევი ვარაუდით აწინდელი ეპიდემიის გაჩაღება წინასწარ თქმულიყო. უადრესად გაჭირვებული ცხოვრების პირობები—შიმშილი სიტიტვლე, ტანის უსუფთაობა, ბინის წარმოუდგენელი სივიწროვე და ამით გამოწვეული ბინის სიბინძურე,—ყველა ეს გუშინდელი ამბავი არ გახლავთ. ომი თანდათან ართულებდა ცხოვრების აუტანელ პირობებს და ჰქმნიდა იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზედაც პარტახტიანი ტიფის ეპიდემიამ იფეთქა და მოეფინა რესპუბლიკას. ეპიდემიისათვის პირველხარისხოვან ბუდეთ გადაიქცა ქ. თფილისი და აქედან სხვა ჯერ ქალაქთან ახლო მდებარე სოფლებში გადავიდა და მერე რკინის გზას გაჰყვა და მთლად დაიპყრა ლიანდაგის მიდამო ქალაქ სოფლები: გორი, სურამი, ხაშური, ბორჯომი და ბეკერი სოფელი. თუ ჩვეულებრივ დროს გადამდები სენი სოფლიდან ქალაქში შემოდის, ომიანობის ხანა ეპიდემიოლოგიის ამ კანონს უკუღმა ატრიალებს და ქალაქს ხდის სოფლებისათვის ეპიდემიის მიზეზად. ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს. თფილისმა ომის დროს და ომის შემდეგ უკანასკნელ ხანამდე აუარებელი ხალხი მიიღო საცხოვრებლად თავის მიდამოში, მაგ. რუსეთის მილიონიანი ჯარები, ომის საქმიანობისთვის აუარებელი სამოქალაქო ხალხი, ლტოლვილნი, ნემეცების ჯარი და მოკავშირეთა ჯარი. თვითეულმა ამ ბრავალრიცხოვანმა თფილისის სტუმარმა რამდენიმე ხანი მაინც დაჰყო ქალაქში და ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად უსუფთაობა შემოიტანა და აქ დასტოვა. ამ ოთხ-ხუთი წლის განმავლობაში თფილისი რაღაც დიდ სასტუმროს წარმოადგენდა. აუარებელი ხალხი მიდიმოდიოდა, ცხოვრობდა შიგ, აჭეშყიანებდა მას და ამავე დროს ქალაქი არამც თუ არ აძლიერებდა სანიტარულ ზომებს, პირიქით, ის სანიტარიის ჩანასახიც კი, რომელიც ქალაქს ებადა, თანდათან სუსტდებოდა და ბოლოს სრულიადაც მოისპო. ამიტომაა, რომ ქალაქი ამ ბოლო დროს რაღაც დიდ სანაგვე მოედანს, ორმოს წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ ქალაქში მთელი წლის განმავლობაში პარტახტიანი ტიფი—ბუდობდა და ამ ბოლო ხანში კი საშინელ ეპიდემიად გადაიქცა. აი პარტახტიან ტიფის ქ. თფილისში სვლა—მთელი 1918 წლის განმავლობაში: იანვარი—18 ტიფიანი; თებერვალი—117; მარტი—206; აპრილი—73; მაისი—196; თებათვე—164; ყვავათვე—91; მარიამობისთვე—65; ენკენისთვე—54; ლვინობისთვე—80; გიორგობისთვე—191; ქრისტეშობისთვე—946.

1919 წლის — იანვრის 22 ღლეში—ავად გახდა 1057 ადამიანი. დიდად სამწუხაროა რესპუბლიკის დედა ქალაქისთვის ეპიდემიის ასეთი ფორმით გაძლიერება. ზემოდ მოყვანილ ავადმყოფთა რაოდენობის რიცხვებში ხალხის ჯანმრთელობისთვის დიდი საფრთხეა დაფარული, თუ დროზედ არ განელდა ეპიდემია. მხოლოდ ერთი მანუგეშებელი მოვლენა აქვს ამ ეპიდემიას—სიკვდილიანობის პატარა პროცენტს იძლევა. ეს საერთო თვისებაა შიშიერთა ტიფისა.

გაჩაღებულ ეპიდემიის წინააღმდეგ ერობა, ქალაქი, მთავრობა—სენთან საბრძოლველ ზომებს იღებს, მაგრამ რადგანაც ნაადრევად წინასწარი პროფილაქტიური არავითარი ღონისძიება არ იყო მიღებული, რასაკვირველია, ეხლა საჩქაროდ მიღებული ზომები მიზანს ვერ აღწევენ. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ჰიგიენა სანიტარიის დასკვნით ეპიდემიის წინააღმდეგ სწრაფი ზომების მიღება მიზან შეწონილად არ ითვლება. და მართლაც, შეუძლებელია სწრაფი საჭირო ზომები იქნას მიღებული, რომ მოკლე ხანში პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის მიზეზები: შიმშილი, სიტიტვლე, ბინის სივიწროვე, ტანისა და ბინის წარმოუდგენელი სიბინძურე, სიშეშყე, უალრესი სუფეველაფრის სიძვირე და სხ.—მოსპობილ იქმნენ, რითაც მოისპოს მათი შედეგიც. როგორც ტიფის, აგრეთვე სხვა გადამდებ სენის მოსასპობათ საჭიროა ხალხის უკულტურო, ანტისანიტარული ცხოვრების პირობები ძირიანფესვიანად შეიცვალოს. ვის და რა ძალას შეუძლიან ეს მოახდინოს,—ისიც მოკლე ხანში, სწრაფი ზომებით? არავის და არას გზით. რუსეთს მთელ დედამიწის ზურგზე ოსმალეთის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა თავის ანტისანიტარული ცხოვრებით, ავადმყოფობის და სიკვდილიანობის რაოდენობით. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა გაკეთეს რუსეთში ხალხის ჯანმრთელობისთვის დიდი უფლებებით აღჭურვილმა რეინმა, პრინცმა ოლდენბურგმა და სხვებმა.

ჩვენი აზრით მთავრობას რომ ეპიდემიასთან საბრძოლველად გადადებული თანხა პირდაპირ ერობებისთვის გადაეცა, უფრო ნაყოფიერად მოეწყობოდა სენთან ბრძოლის საქმე და უეცველია ხალხს გასაჯანსაღებლად ერობა ირჩევდა მხოლოდ ერთად ერთ გზას, რომელიც ნაცადია ევროპის პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებში და რომელიც ნაცადია ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოებში და რომელიც გამოიხატება სანიტარულ კანონმდებლობით ცხოვრების გარდაქმნაში.

ექიმი ი. ლომოური.

სახალხო გვარდიელთა ფორის

იანვრის 30 დღისა სადგ. ნავთლუღში შესდგა საზოგადო კრება სახალხო გვარდიელებისა კახ. რკ. გზის რაიონისა.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერთხმად რაიონული შტაბის თავმჯდომარე ამხ. გ. ბალარჯიშვილი. მდივნათ—ამხ. სეფერთელაძე.

სანამ კრება შეიმუშავებდა დღის წესრიგს, ფუნზე ადგომით პატივი სცა ომებში დაღუპულ ამხანაგებს—გვარდიელებს. შემდეგ შემუშავებული იქნა შემდეგი დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება რაიონულ შტაბისა. 2) მოხსენება ყოფილ ადგილობრივ კომიტეტისა 3) რაიონული შტაბის მოქმედება 4) რეორგანიზაცია შტაბისა. 5) მიღება და დათხოვა გვარდიელებისა. 6) კახ. რკ. გზის ადმინისტრაციის მოქმედება გვარდიელების წინაშე. 7) ამხ. ნ. დოლიძის მოქმედების შესახებ. 8) არჩევნები ახალი შტაბისა.

მოხსენება გაკეთა შტაბის სახელით შტაბის თავმჯდომარემ ამხ. ბალარჯიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მომენტს, როდესაც დაარსდა საზოგადოთ გვარდია და განსაკუთრებით რაიონული გვარდიის შტაბები. აღნიშნა ის მძიმე ტვირთი, რომელიც იკისრა რაიონულმა შტაბმა და საზოგადოთ დაასწრათა მოქმედება შტაბისა და აუხსნა ამხანაგებს, თუ როგორ და რანაირათ მუშაობდა პირველ ხანებში შტაბი, რომ ყოველივე საქმეები კეთდებოდა ზეპირათ, არავითარი წიგნები და ქალალდები არ ჰქონიათ, მხოლოდ ამ ბოლო დროს შემოიღეს წიგნების წარმოება. აგრეთვე აღნიშნა, რომ თვითონ პირველ თავმჯდომარეს შტაბისას ამხანაგ ა. გილაშვილს მთავარმა შტაბმა დააკისრა სრულებით განსაკუთრებული საქმეები და ამისათვის მას არ ჰქონდა საშუალება ეწარმოებინა ადგილობრივად რაიონული შტაბის საქმეები. მე კი, როგორც მაშინდელ მდივანს შტაბისას და როგორც უფრო ახლო მდგომს შტაბის საქმეებთან და აგრეთვე ამხანაგ შტაბის წევრების დავალებით, რომლებიც თითქმის სრულებით არ იმყოფებოდნენ ადგილობრივად—იყვნენ სხვადასხვა ფრონტებზე—დამეკისრა, როგორც რაიონული შტაბის მდივნის მოვალეობის ასრულება, აგრეთვე თავმჯდომარისაც. აგრეთვე კრებას გავაცნო, რომ პირველ ხანებში ანახ. რკ. გზის რაიონში ირიცხებოდნენ გვარდიაში 152 კაცი და ეხლა კი მხოლოდ 103 კაცი. დანარჩენი 49 კაცში 7—გარდაიცვალნენ: ზოგი ტყვეთ იქნა განგმირული ფრონტზე, ზოგი ჭრილობისაგან, რომელიც ფრონტზე მიიღეს და ზოგიც ავადმყოფობისაგან და დანარჩენი კი ზოგი ჯარში გაიწვიეს და ზოგიც დავითხოვეთ სხვადასხვა მიზეზებისა გამო.

ყოფილ რაიონულ კომიტეტის სახელით მოკლე მოხსენება გაკეთა ამხ. სეფერთელაძემ, რომელმაც კრებას გააცნო, თუ როგორ განაცხადეს ფარი 3 ამხანაგებმა გვარდიელებმა როგორც შტაბის წევრობაზე, აგრეთვე კოლექტივისა და კომიტეტის წევრობაზედაც.

შტაბის ორგანიზაციის შესახებ ილაპარაკა ამხ. ა. გილაშვილმა. კამათის

შემდეგ კრებამ მიიღო წინადადება გილაშვილისა და დაადგინა მოხდეს ახალი არჩევნები შტაბისა, რომელშიაც შევლენ მხოლოდ 7 კაცი—წევრები.

გვარდიაში გვარდიელების მიღება—დათხოვის შესახებ ილაპარაკა ამხ. ვადაეკორიამ და აღნიშნა, რომ ისეთი პიროვნებები ირიცხებიან გვარდიელებათ ჩვენს რაიონში, რომლებიც ღირსნიც არ არიან, რომ ატარონ გვარდიის სახელიო მაგალითები ბევრი ჩამოთვალა და წინად დება შემოიტანა, რომ, ვინც ვერ იმუშავებს თანასწორათ ყოველივე გვარდიელთან და ვინც ცოტათი მაინც შელახავს გვარდიის სახელს, აუცილებლივ დათხოვნ ლი იქნან გვარდიიდან.

კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ ყურადღება მიაქციოს ასეთ მოვლენებს ახალმა შტაბმა და, თუ ვინცობაა განმეორდება კიდევ, მაშინ, ისეთი პიროვნებები დაუყონებლივ გარიცხული იქნან გვარდიიდან.

კახეთის რკინის გზის ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ გვარდიელების წინაშე კრებამ კამათის შემდეგ დადგინა ეთხოვოს უმთავრეს შტაბს, რომ წინადადება მისცეს კახ. რკ. გზ. ადმინისტრაციის ოფიციალურ ორგანოში, რომ ისინი ნუ უშლიან ხელს გვარდიას თავის კანონიერ მოქმედებაში. ყველა ის გვარდიელები, რომელებიც განთავისუფლებულნი იქნებიან სამსახურიდან დროებით გვარდიის საქმეებზე, ისევ დაშვებულნი იქნან თავიანთ მოვალეობაზე ჯანმრთელობის შეუმოწმებლათ და გვარდიაში ყოფნის დღეების ფული მიეცეთ სრულათ.

6. დოლიძის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. თედეშვილმა, რომელმაც ჩამოთვალა სხვადასხვა არა დასაშვები მოქმედებები ნ. დოლიძისა. მაგალითად ერთხელ მას მთვრალ ამხ. გვარდიელისათვის, ჩამოურთმევია რევოლვერი და იმის მაგივრათ, რომ გვარდიის შტაბისთვის გადეცა, მილიციონერებისათვის და კიდევ სხვისთვის უთქვამს, რომ მე ვაძლევ შტაბის წევრს გ. თედეშვილს და იმან კი არ გამომართვა—რაიც სიმართლეს მოკლებული ყოფილა.

კამათის შემდეგ კრებამ დაავალა ამ საქმის გამოძიება და დამნაშავის დასჯა ახალ რაიონულ შტაბს.

ყველა კითხვების გარჩევის შემდეგ მოხდა არჩევნები ფარული კენჭის ყრით. არჩეულ იქნენ 1) გ. ბალარჯიშვილი, 2) ი. გიუტაშვილი, 3) ა. გილაშვილი, 4) გ. თედეშვილი, 5) ს. დოლიძე, 6) ნ. ვადაეკორია და 7) ფანცულაია.

კრების თავმ. გ. ბალარჯიშვილი; მდივანი ალ. ხეფერთელაძე.

რკინის გზაზე

დილის 5 საათი იყო, როცა სად. სამტრედიაში ჩამოვიტანეთ. სადგურის დარბაზი ხალხით სავსე იყო. გვიარ-გამოვიარე, მაგრამ გაელა გასაჭირია, იმიტომ, რომ სადგური საქონლის საწყობს მოგაგონებს. კალათები, იაშჩიკები, ყუთები. აგერ მაგიდებზე მანდილოსნები სხედან, ზოგი კიდევაც დაწოლილა, აგერ იატაკზე წვანან ყმაწვილები და მღერიან. როგორც შეგნიშნე, ყველა იქ მყოფი მგზავრები არ ყოფილან, სეირნობენ მატარებლის დროს.

საჭიროა იქნეს მიღებული ზომები, რომ ამ გვარ უმსგავსობას ადგილი აღარ ექნეს. რისთვის იღებენ ჯამაგირებს წესიერების დამცველნი? ნუ თუ იმისთვის, რომ უწესობა გაამეფონ!.

მგზავრი.

ს.-დემ. პარტიაში

ფალენჯიხა (ზუგდიდის მაზრა). 22 იანვარს ფალენჯიხაში გაიხსნა ყრილობა ს. ს. დ. მ. პ. ფალენჯიხის რაიონის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა. დაესწრენ ამხანაგები შემდეგი საზოგადოების ორგანიზაციებიდან: ფალენჯიხიდან, ობუჯიდან, ჯგალიდან, ფახულანიდან, ბუხურიდან, ჭოლიდან, ხაბუმიდან, ახალთიდან, ლესიტინიდან და კირეხიდან. ყრილობას დაესწრო 35 ამხანაგი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. სამსონ შონია, მდივნად კ. ჩიქოვანი. ყრილობას დაესწრო ამხ. ზ. გურული. განსახილველი საგნები: მიმდინარე მომენტი, საქ. დამფუძნებელი ერება, პარტიის მუშაობა არჩევნების წარმოებაში და სხვა მორიგი კითხვები. მიმდინარე მომენტზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ზ. გურულმა. მოხსენების შემდეგ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოიხმინა რა ყრილობამ ამხ. გურულის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, რომელიც შეეხებოდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობას და ჩვენი მთავრობის მოქმედებას საერთოდ შინაურ და საგარეო სფეროში,—დარჩა სრული კმაყოფილი მთავრობის პოლიტიკით. მეორე კითხვაზე ყრილობამ დაადგინა მიიღოს დამფ. კრების არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა, ათმოძრავოს მთელი პარტიული აპარატი არჩევნებს გარშემო. შემდეგ შემუშავებულ იქნა მთელი რიგი არჩევნების ტექნიკური მხარის საკითხები. აირჩიეს საარჩევნო კომისიებში თავის წარმომადგენლები და ყრილობა ამით დაიხურა.

კ. ჩიქოვანი.

— —

თფილისი. 12 თებერვალს ს. ქლენტის თავმჯდომარეობით შესდგა მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) კომიტეტის მოხსენება, 2) საზოგადო კრებაზე დღის წესრიგის შემუშავება, 3) მოხსენება ნავთლუღის მცირე კოლექტივიდან და სხვა კითხვები.

კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. შალ. ამდუშელიშვილმა და ლორიამ. კომიტეტის მოხსენებიდან კოლექტივმა გამოიყო ორი კითხვა: პირველი შტაბთან შეერთებული მუშაობაზე კოლექტივისა, მეორე ამხ. ამდუშელიშვილის გამგეობაში დასახელება. პირველ კითხვაზე კოლექტივი მსჯელობს და ადგენს შემდეგს: კოლექტივი ირჩევს სამი კაცისგან 2 მ., პ. მ. თვალიევისგან 2 მ. 40 კ., მ. ლომიაშვილისგან 5 მ., ნ. ფ. მამულაიშვილისგან 2 ., ე. პ. ბაიაძისგან 50 კ.პ., ა. ი. ლაფერაშვილისგან 50 კ., გ. ლ. ლაფერაშვილისგან 50 კ., ნ. ა. ლაფერაშვილისგან 6 მ., ა. ი. ლაფერაშვილისგან 5 მან., დ. ა. ლაფერაშვილისგან 4 მან, ს. ჩ. ლაფერაშვილისგან 2 მ., ე. ნ. ლაფერაშვილისგან 3 მ. სულ 323 მან. 75 კაპ. 2) ამბაშის ფოსტა-ტელ. მოსამსახურეებისაგან გადმოცემული თფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ხელით 65 მან., (კვიტანცია № 46). 3) სულით ავათმყოფთა თავშეხაფარის მოსამსახურეთაგან ივანე ქრისტოსესის ძე ხუციაძის ხელით 150 მან. (კვიტანცია № 47) შემდეგი პირებისაგან: ს. ნ. გამრეკელისაგან10 მან., ნ. ზ. მშვიდობიშვილისაგან 10 მ., ე. მ. ვალიშვილისაგან 5 მან., დ. ო. იოსეფისაგან 3 მანეთი, ა. ს. კლიმიაშვილისაგან—12 მან., დ. უ. ყავლიშვილისაგან—10 მან., ა. ი. ვალიშვილისაგან—5 მან., ვ. ი. კოხრეიძისაგან—10 მან, ა. მ. ფასურაშვილისაგან—3 მან., მ. ა. კარპოვისაგან—5 მან, ე. გ. გურასპაშვილისაგან—2 მან., დ. ზ. ჩიგოშვილისაგან—6 მან., მ. ა. ...ციშვილისაგან—5 მან., ნ. ვ. ტეხაშვილისაგან—10 მან., ს. ი. ლიხოვკინისაგან—10 მან., ი. კ. ხუციაძისაგან—29 მან., სულ 150 მან.; 4) დავით სოფრომის ძე ნაცვლიშვილისაგან—200 მან., (კვიტანც. № 48); 5) იაგორ პლატონის ძე მოისეევისაგან ერთი ყუთი 45 ჭრილობის სახვევი ბინტით (კვიტ. № 49); 6) რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოს მუშის ვასილ ივანეს ძე გარიბაშვილისაგან—120 მან, (კვიტ. № 50); 7) ნ. ს. ძიძიშვილისაგან—1500 ცალი მაზალი, 1500 ცალი ვაშლი და 1500 ფორთოხალი (მანდარინა) სულ ღირებული 3,700 მან. (კვიტან. № 51); 8) ნაძალადევის რაიონის სოც. დემოკრ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა შორის შეგროვილი ელისაბედ ქუთათელაძის ხელით—2,000 მან. (კვიტანც. № 52).

მუშათა შორის

ფოთის და ნატანების გზებზე შეშის მტვირთავ მუშების ცხოვრებიდან. ხსენებულ გზებზე მუშაობენ! დაახლოვებით 20—30 კაცამდე. ორი წილი ამ მუშებისა არიან ჭიათურის რაიონიდან, ხოლო მესამედი ს. საჭილაოდან. მუშებს ისეთ ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებათ მუშაობა, რომლის ენით გამოთქმაც საძნელოა. რადგანაც მე თვითონ ორი კვირა ამ მუშებთან ვიმუშავე და პირდაპირ გავეცანი აქაურ პირობებს, ამიტომ ჩემს შთაბეჭდილებას გგზიავრებთ მოკლე . თუმცა ეს მუშები ასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სამუშაოს, მაგრამ უბედურება ის არის—მუშები პირდაპირ რკინის გზას როდი ჰყავს დაქირავებული, არამედ—რკინის გზიდან სამუშაო აღებული აქვს ვინმე სერგო ლუტიძეს. მუშებიც ამისგან არიან დაქირავებული, მაგრამ არა დღიურად, არამედ ნარდათ. თვითეულ საჟენზე 14 მანეთათ. ხშირათ ათი-თუთხმეტი საჟენის მანძილიდან მუშები ზოგი ზურგით და ზოგიც „ნასილკით" ეზიდებიან ჯერ სავაგონეზედ, ხოლო მერმეთ იწყებენ ვაგონებში ჩალაგებას. ხშირად მუშებს ნახევრად შუალებამდე ტალახში უხდებათ შეშის ზიდვა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი დასატვირთავი იქნება ტალახიანი სველი შეშა. თუმცა შეშის მოსატანი მანძილი თანდათან შორდება, მაგრამ ქირის მომატებისათვის „ხაზეული" თავს არ იტკივებს, მუშებიც არ უწევენ წინააღმდეგობას და ყოველ მის სიტყვას ისე ასრულებენ, როგორც უბრალო მონები. ზომაში მოტყუილება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. თვითონ ამ სტრიქონების დამწერს მუშა მიხეილ ლუღუნიშვილთან ერთად მოგვიზომა შეშა ორ საჟენ ნახევრათ, დაბოლოს ჩვენ თვითონ, როცა ვიანგარიშეთ, სამი საჟენი დარჩა, რაშიაც თითოთაც დავარწმუნეთ. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ იმის მახინაციი გავიგეთ ჩვენ ორმა ამხანაგმა, იფიქრა დანარჩენი მუშები ამიჯანყდებიანო და ამიტომ სთქვა: ალბათ „დესეტნიკები" გადმოდარან, მაგრამ სულ ერთია—სამ საჟენათ გიანგარიშებთო, ხოლო, როცა შინ მოვდიოდით და ანგარიშზე მიდგა საქმე, როცა გავასსენეთ, დაგვიწყო ლანძღვა-გინება და ნახევარი საჟენის ნაცვლათ 7 მ. და ათი შაური შემოგვიძღია. რაზედაც შესაფერი პასუხი მიიღო. შობა ახალ წლის შუა რიცხვებში გამოატანა მუშებს „პრაზადნოი" ბილეთი 40 კაცის. ჩვენც წავედით ამდენივე რიცხვი. ჩავედით სამტრედიაში და გვითხრეს—ლუტიძე ავათ არის და არ ჩამოსულაო. დაგვხვდნენ „დესეტნიკები", რომლებმაც ერთ კვირაში მხოლოდ ერთი დღე გვამუშავეს, ხოლო დანარჩენი დღეები კი გავცდით, ლამეში ვიყავით, სასინათლოც არ მოგვცეს. რადგანაც უშუშევრობა გველოდა, ამიტომ მოვიდომეთ ჭკან გამობრუნება, მაგრამ, დახეთ უბედურებას, „პრაზადნოი" არ მოგვცეს და გზის ფული კი არ გვქონდა. ამიტომ მივმართეთ ადგილობრივ სადგურის უფროსს ვინმე ტაბიძეს (არ ვიცით ეს პირი სად. უფროსია თუ მისი თანაშემწე), რომელმაც ჯერ დაგვპირდა მოგცემთ უფასო ბილეთს, როცა მატარებელი მოვაო, მაგრამ, როცა გამოვიდა მატარებელი, მაშინ ასე მოგვმართა: „მოშორდით აქედან, თორემ სალებით გგგისტუმრებთო".

ლაფონ. ტეფოშვილი.

— —

თფილისი. 11 თებერვალს შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარი პურის საცხობის მუშა მოსამსახურეების კრება; კრებამ განიხილა მრავალი საყურადღებო კითხვები, როგორიცაა პარტიული ორგანიზაციის მოწყობა, პროფესიონალური კავშირის და აგრეთვე თანამედროვე მომენტის შესახებ.

კრებამ გამოჰყო თავის შორის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც მიანდო ჯამაგირი დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდისათვის—1415 მანეთი. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ეღებულობთ რა მხედველობაში, ყოველ მხრიდან რომ შემოსეულ შავი რეაქციას მიზნათ აქვს ჩაშალოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და მით არ მისცეს დემოკრატიას საშვალება მიაღწიოს თავის მიზანს, მოვუწოდებთ ყველა ერთგულ შვილებს დემოკრატიისას ერთ ხელში თოფი მუხანათი მტრების წინააღმდეგ, ხოლო მეორეში კი სია ყუთისაკენ.

ამხ. მონ. კ. კაკურია და ს. გურული.

პროვინცია

მარტყოფი (თფილის მაზრა). 17 თებერვალს სოფელ ძარტყოფში ადგილობრივ გვარდიელთა რწმუნებულ ქიტეს მორიოხაშვილის თაოსნობით გაიმართა გვარდიელთა საერთო სადილი.

სადილზე მიწვეულ იყვნენ სხვა ამხანაგებიც სოფ. ნორიოდან და ახალ სოფლიდან. სადილმა მიიღო კრების ხასიათი, რომელიც საუცხოვო წესრიგით ჩატარდა: ილაპარაკეს ანტონ ბერიშვილმა, გაბო ფურძელაძემ, ნიკ ტუღუშმა და სხვა ამხ. გვარდიელებმა.

წინა დღეს, 16 თებერვალს, გვარდიელებს ჰქონდათ კრება, სადაც ერთხმად გადაწყვიტეს ფრონტზე გამგზავრება. სადილის შემდეგ რწმუნებულმა ქიტეს მორიოხაშილმა გაამწკრივა გვარდიელები, რომელთაც შემდეგი სიტყვით მიმართა: „ამხანაგებო! თქვენ კარგათ იცით, რომ მე დღემდე შეძლების დაგვარათ ვასრულებდი ჩემ მოვალეობას, და თქვენ პირნათლად ასრულებდით თქვენდამი დაკისრებულ მოვალეობას. თქვენ ყველამ კარგათ იცით რა სერიოზული მომენტია დღეს. იცით, თუ სად მივემგზავრებით ჩვენ. უნდა შეეფიცოთ ამ წითელ დროშის ქვეშ ერთმანეთს, რომ მარტყოფის გვარდია, როგორც გასულ ბრძოლაში, ისევე სახელოვანი გამოვა დაკისრებულ მოვალეობიდან. ჩვენ ან უნდა გავმარჯვეთ, ანდა შევეწიროთ მსხვერპლათ საქართველოს თავისუფლებას".

გვარდიელებმა დიდი ფიცი მისცეს თავის რწმუნებულს, რომ ისინი დაიცავენ თავიანი სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას. რის შემდეგაც გვარდიელები მწყობრათ მუსიკის დაკვრით და წითელ დროშებით გაემგზავრენ სადგურ ვარიანისკენ, სადაც შეკრებილიყვნენ გვარდიელები ახალ სოფლიდან, ნორიოდან. ყველას ეტყობოდა სიხალისე. ასე გეგონებოდათ ომში კი არა ლხინში მიემგზავრებიანო. თფილისში ჩამოვედით თუ არა, ყველა მწკრივად დარაზმულნი გაემგზავრნენ დანიშნულ ადგილს. მე კი დალონებული, რომ ვშორდებოდი მათ, ჩემი ოქმებით და ბიულეტენებით მარტყოფის რაიონისა, სადაც ს. დ. პ. ხვდა სრული გამარჯვება არჩევნებში, გავემგზავრე სამაზრო საარჩევნო კომისიაში.

ნოე ტულუში.

განცხადებანი

ეძიები ძალი

ე. ს. კარუკეს — ზებურიშვილი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბეგიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

იანვრის 2 ს მესამე ნომრის მატარებლის ვაგონში სადგურ ხაშურში დგომის დროს

დავკარგე

მრავალი ხაბაკებით და საბუთებით სავსე ერთი დიდი სამგზავრო ხურჯინი. მპოვნელს ვსთხოვ მარტოთ საბუთიანი პორტფელი დამიბრუნოს. მისამართი: საბუთებში უწერია ჩემი (ქალ. სურამი და სად. გომეცი).

ერასტო ირაკლის ძე ხამსონა.

ეძიები ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი, ტენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი

ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან მისამართი: ნაძალადევი. ბასსეინის ქუჩა № 30.

ეძიები ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით ლანსნეულებულთ, ხანგრძლივ ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოსი 4—6 საათამდე. ელექტროთერაპია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის ოფიციანტის ახლოს.

ეძიები ბ. ა. შაშვანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შუშხაპუნები 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

ექიმი ფ. ი. ჯაფარიძე

ეიცდებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცეკირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1½, საათამდე, საღამოს 5—6 ... ბულვარის ქუჩა № 7. ... ტელეფონი 18—65.

ეძიები

ნ. გ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორდანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ექიმი

ი. გ. კონიევი

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ყარდის უბნის ქ. № 3.

ეძიები

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შუშაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ 14—28.

ვეტერინარის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ბენეკისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიგებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. მეგრუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ბაბისნა თფილის საავადმყოფოთ
(მუდმივი საწოლებით)

ეძიმი დოლნხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათ. დან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „ალოლოს" ახლო) ეძიმე ავათმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ეძიები

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ეძიები

ანასტასი ლეონიზიოორლოვსკი

მიიღეს შინაგან სნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—11)

ეძიები ძალი

ვაინი

იღებს სპეციალურად საბებიო და შინაგანსნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდენაია, 33 ეზოში.

ქბილის საექიმო კაბინეტები
თეოდორე ხაუბარელის ძე ცხოვრებიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: ყალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—86.

ა. ნ. ფალილოვი

იღებს თფილისს სნეულებიან ავათმყოფთ ... 4—6 საათ. სტეპანოწმინდის ქუჩა, სახ. № 4 (ალექსანდროვის ხიდის ახლო).

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევგენიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს, 20 თებერვალს ოპერა „აბესალომ და ეთერი" გაძლიერებული რეპეტიციების გამო დადგმული იქნება ქართული დრამა, ხოლო „აბესალომ და ეთერი" გადადებულია 21 თებერვლისათვის. პარასკევს, 21 თებერვალს ზ. პ. პალიავის, შულგინას, მოროზოვის, გრანელის, ზალიპსკის, ინაშვილის და ლორთქიფანიძის მონაწილეობით პირველად ქართული ორიგინალური ოპერა

„აბესალომ და ეთერი"

შაბათს, 22 თებერვალს ლ. კ. ისეკის ბენეფისი „ეროვნა".

პ. ი. ზუგალაშვილის სახელოვნის ქალაქის სახ. სახლი

სახ. სახ. არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ, ხუთშაბათს, 20 თებერვალს, წარმოდგენილი იქნება

მსხვერპლი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომელნი.

ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.—50 კ—მდე. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 2 მარტს. (2—2)

სახელმწიფო თეატრი „კავშირის" დასი.

წარ. № 22 ხუთშაბათს, 20 თებერვალს წარ. № 22

„კავშირი"-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ

მეოთხე ნაწილი

სინათლე

ფერია ზღაპარი 7 სურ. ი. გედევანიშვილისა.

დასის გარდა მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ხორო და ორკესტრი, ბალეტი ბ-ნ ვაკარეცის ხელმძღვანელობით და ქ. ბაუერზაკის მონაწილეობით. მუსიკალური ნომრები შედგენილია სპეციალურად ამ პიესისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი ზალცმანის მიერ.

რეჟისორი შალვა დადიანი. ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. წარმომადგენელი ა. გაჩეჩილაძე.

მსახიობთა კავშირის დირექცია. (2—2)